საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 11 დეკემბერი, 1919 წ.

# ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთის ფასი 1 თვით 50 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 4 მანეთი. მეოთხე გვერდზე — 3 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 80 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორის ადრესი: რუსთაველის პ. № 24.

ტელეფონი 18—62.

№ 283 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 283

ღრმეს მწუხარებაში მყოფნი: მშობლები მიხაკო და ელენე, ძმები: პროკოფი, კოლა, სერგო და ქსენია ბერიძეები გულდათუთქულნი აუწყებენ ნათესავთ, ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ მათ დაჰკარგეს ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ ძვირფასი პატარა პირველის შვილი, უკანასკნელის და

ქ ე ნ ი ა

დასაფლავება მოხდება ხუთშაბათს, დღის პირველ საათზე. ერკეთის ეკლესიაზე 3245—1—1

(...)უშაკთა კლუბის შენობაში (პლეხანოვის პრ., № 123)
(...)რას, 14 დეკემბერს, დილის 10 საათზე შე დგება თამბაქოს ქარხნებში მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირის წევრების

საერთო კრება

(...)ის წესრიგი: 1. მოხსენება კავშირის გამგეობის 1918—19 წწ. მოქმედებისა. 2. კავშირის ფინანსიური ანგარიშები. 3. მოხსენება სარევიზიო კომისიისა. 4. არჩევნები გამგეობის წევრებისა. 5. არჩევნები სარევიზიო კომისიისა.

გამგეობა.

3246—3—1

ქ. ქუთაისში საკრედიტო დაწესებულებაში
(...)სამსახურეთა პროფესიონალური კავშირის მიერ პირველ დეკემბრიდან გაიხსნა ერთ წლიანი საბუღალტერო

საღამოს კურსები.

(...)ენელებათ ჩაწერა გრძელდება აზოვ დონის ბანკში. (3214—3—3)

მეორე ქართულ კლუბის
(...)მახალხითა საბჭო ამით აცხადებს, რომ ხუთშაბათს, 11 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე დანიშნულია კლუბის წევრთა

საგანგებო კრება

წესრიგი: წესდების ზოგიერთა მუხლის შეცვლა და სხვა კითხები.

ნ. 2—2

## მომარაგების სამინისტრო
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა.

აცხადებს საყოველთაოდ, რომ:

1) თანახმათ მონოპოლიის კანონისა თუთუნის ფურცელზედ, მიღებულია (...)მფუძნებელი კრებით 24 ოქტომბერს 1919 წელს და შესულია ძალაში დღი(...)ნ მიღებისა. ყიდვა-გაყიდვა, გატანა საზღვარ გარეთ და ყოველგვარი რეალი(...)ცია თუთუნის ფურცელზედ შეადგენს სახელმწიფო მონოპოლიას.

2) ყველა მესაკუთრე თუთუნის ფურცლისა, რომელიც იმყოფება საწყო(...)ში რესპუბლიკის ტერიტორიაში, თუთუნის ქარხნებითურთ ვალდებულნი (...)იან ორი კვირის განმავლობაში დღიდან გამოცხადებისა სახელმწიფოს ოფი(...)ოზის „საქართველოს რესპუბლიკა“ ში, აცნობონ მომარაგების სამინისტროს (...)მდვილი რაოდენობა თუთუნისა, რომელიც მათ აქვთ საწყობში და ან სად (...)ის ის საწყობები.

შენიშვნა: ყველა მესაკუთრე თუთუნის ფურცლისა, რომელიც ინახება (...)წყობებში ქალაქ სოხუმში, ოჩემჩირეში და საზოგადოთ აფხაზეთის საზღვ(...)ში, თუთუნის ქარხნებითურთ, ვალდებულნი არიან ორი კვირის განმავლობაში დღიდან გამოცხადებისა გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“-ში, აცნობონ აფხაზეთის კომისარიატს და მთავარ-რწმუნებულს მომარაგების სამინისტროსას ქ. სოხუმში (მისამართით აფხაზეთის კომისარიატისა) ნამდვილი რაოდენობა თუთუნისა და ადგილი სადაც უკანასკნელი ინახება.

3) ყველა მესაკუთრე საწყობებისა და ყველა ისეთ ბინებისა, სადაც თუთუნი ინახება, აგრეთვე საკრედიტო დაწესებულებანიც, სადაც თუთუნი გირავდება, ვალდებულნი არიან კანონის ძალით პასუხისგებაში მიცემის შიშით, აცნობონ სამინისტროს (აფხაზეთში—აფხაზეთის კომისარიატს და მთავარ-რწმუნებულს სამინისტროსას) ზემოაღნიშნულ ვადაში სად ინახება თუთუნი.

4) ეგეთივე მოვალეობა ეხება მოიჯარადრეებს და მმართველებს იმ უძრავ ქონებისა, რომელშიაც არის თუთუნის საწყობები.

5) დამნაშავენი თუთუნის ფურცლის დამალვაში იქნებიან მიცემული სასამართლო პასუხისგებაში და თუთუნი კი იმ პატრონთაგან, რომლებმაც თავის დროზე არ მიაწოდეს ცნობები სამინისტროს (აფხაზეთში) აფხაზეთის კომისარიატს და მთავარ-რწმუნებულს სამინისტროსას (სადაც თუთუნი იმყოფებოდა), პატრონებს ჩამოერთმევა მეტათ შემცირებულ ფასებში.

6) ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს, რომელთაც ექნება რაიმე საშუალება, ეძლევათ წინადადება ზემოხსენებული ცნობები დაუყოვნებლივ წარმოუდგინოს მომარაგების სამინისტროს (აფხაზეთში) აფხაზეთის კომისარიატს და მთავარ-რწმუნებულს სამინისტროსას.

მომარაგების სამინისტრო საქართ. დემოკ. რესპუბლიკისა. ნ. 3—2

## ერთი პროვოკაციული ბრძანების გამო

გენერალ დენიკინს ბრძანება გამოუ(...)ა, რომელშიაც წინადადებას აძლევს აზერბეიჯანის ჯარში მოსამსახურე რუს ოფიცრებს, რომ მათ დაუყოვნებლივ დასტოვონ სამსახური. ამის მიზეზათ (...) მოყავს, რომ აზერბაიჯანი მტრულათ განწყობილია რუსეთისადმი და გარდა ამისა ეს რესპუბლიკა სომხეთის წინააღმდეგ აგრესიულ პოლიტიკას აწარმოებსო. ამ ბრძანების მზაკვრული მიზანი აშკარაა. ეს ერთი დიდი პროვოკაციაა. მეფის გენერლებს განზრახვა აქვთ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა შორის შუღლი და მტრობა დასთესონ. დობროვოლიის მესვეურებს მოსვენებას არ აძლევს ის გარემოება, რომ ამ ბოლო დროს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა შორის თანდათან მტკიცდება ძმური განწყობილება. კეთილმეზობლური განწყობილება ამ სახელმწიფოთა შორის, ეს მათი ბედის არამც თუ ნახევარი, თითქმის ყველაფერია.

ამას კარგად გრძნობენ რუსეთის რეაქციონერები და აი ისინიც ლამობენ ძველებური პროვოკაციული ხრიკით წამხდარი საქმის გამობრუნებას. დენიკინის ბრძანების უმთავრესი მიზანია ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა შორის შუღლისა და მტრობის ჩამოგდება. ამ მიზნით ის გამოდის და საჯაროთ სომხეთის ხალხს ემხრობა. ამ რესპუბლიკას ის მოკავშირეთ აცხადებს და ამით სურს არევ დარევა შეიტანოს ჩვენს ურთიერთობაში, დაგვქსაქსოს, დაგვასუსტოს და შემდეგ ნაწილ-ნაწილათ გაგვანადგუროს. დენიკინელთ გონიათ, რომ თუ იმათ სომხეთი თავიანთ მოკავშირეთ გამოაცხადეს, ამიტომ ჩვენ ან ადერბეიჯანი სომხეთს გადავეკიდებით. ტყუილი ანგარიშია რუს ნაციონალისტთა მზაკვრული განზრახვა ჩვენთვის აშკარა და ნათელია. ეს ხერხი ვერ გასჭრის.

სომხის დემოკრატიამ უნდა იცოდეს და იცის კიდევაც, თუ რა ფასი აქვს დენიკინის მფარველობას მისდამი. ის არ წამოეგება პროვოკაციულ ანკესზე. მან იცის, რომ ამბორი ორნაირია, ძმური და იუდაპებური. ჩვენ ღრმათ დარწმუნებული ვართ, რომ სომხეთის დემოკრატია და მისი მთავრობა სასწრაფოთ და საჯაროთ მოიგანს იმ ლოყას, რომელზედაც მისდა დაუკითხავათ ეამბორა ველიკოების გალიაში გამოზრდილი გველი. „დანაელების მაშინაც კი უნდა გეშინოდესთ, როდესაც ძღვენი მოაქვთ“. ეს მტკიცეთ უნდა ახსოვდეს სომხეთის ხალხს.

რაც შეეხება საქართველოსა და აზერბეიჯანის დემოკრატიას, მათ დენიკინის ბრძანების გამო ერთ წამსაც არ უნდა შეეპაროს გულში ეჭვი და უნდობლობა სომხეთისადმი. მართალია, დასამალავი არაფერია, რომ ერთ დროს სომხეთში დიდი გავლენა ქონდა დობროვოლიის ორიენტაციას, მაგრამ სომხეთის ხალხი უკვე დარწმუნდა ამ პოლიტიკის დამღუპველობაში და დღეს ის მზათაა ჩვენთანა და აზერბაიჯანთან ძმური განწყობილება დაიკავოს. ამის უტყუარი ნიშნები და საბუთები უკვე არის. ეს კეთილი განზრახვანი კი არა, უკვე ისტორიული ფაქტია.

დენიკინის შავ პროვოკაცას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები კიდევ უფრო მჭიდრო, გულწრფელი და ძმური კავშირით უპასუხებენ. ვინაიდან მათ კარგათ იციან, რომ „ერთობა მათთვის ტახტია, მტრებისთვის სახრჩობელაო“.

ჩინებულათ იციან ეს დობროვოლიის გენერლებმა და სწორეთ ამით არის გამოწვეული დენიკინის უკანასკნელი ოინი.

## ლენინი რუსეთის სოციალიზმის შესახებ

მოსკოვში გაიხსნა სრულიად რუსეთის საბჭოთა მეშვიდე ყრილობა. საგულისხმოა ამ ყრილობის პარტიული შემადგენლობა.

ცხრაას ოცდა ორი წევრიდან სამასზე მეტი უპარტიონი არიან. ორი მესამედი კი კომუნისტები. ამ ბოლო დროს საბჭოებში იშვიათათ თუ შეხვდებოდით არა ბოლშევიკს, ვინაიდან საარჩევნო კომპანიებს რუსეთში ჩრეზვიჩაიკები აწარმოებენ და რასაკვირველია ტერორის ქვეშ არჩეული საბჭოები პირ წმინდათ კომუნისტებიდან შესდგებოდა. დიდი მოქალაქობრივი გამბედაობა, თითქმის თავგანწირვაა საჭირო, რომ თავი არა კომუნისტურ პარტიის წევრათ გამოაცხადო გაბატონებულ პარტიის წინააღმდეგ საარჩევნო ან სხვაგვარი პოლიტიკური ბრძოლა აწარმოვო. ამის და მიუხედავათ დღეს საბჭოთა ყრილობაზე, თვით ბოლშევიკური რადიოს ცნობით ერთი მესამედი არა ბოლშევიკები არიან. ისინი თავიანთ თავს უპარტიოთ აცხადებენ.

ბოლშევიკებს შეუძლიათ იდღესასწაულონ ჩრეზვიჩაიკების გამარჯვება. პროლეტარიატის საუკეთესო ნაწილის ერთი მესამედი თავს უპარტიოთ აცხადებს. ეს მუშათა კლასის საშინელი დამარცხება და დაქვეითებაა. ორში ერთი—ან ეს მესამედი მართლა უპარტიონი არიან. პოლიტიკას ჩამოშორდენ. კომუნისტთა ტერორის მიუხედავათ მუშათა კლასის მთელი მესამედი ხმას აძლევს უპარტიოებს. პოლიტიკური გულგრილობის, ობივატელობის ჭაობში ეფლება, ეს კი რევოლიუციისათვის უდიდესი საფრთხეა; პროლეტარიატის კლასობრივი შეგნების დაკნინებაა. ბოლშევიკებმა შესძლეს თავიანთ უმზგავსო პოლიტიკით მუშათა კლასის პოლიტიკიდან განდევნა. ეს პიროსის გამარჯვებაა. შესაძლებელია მეორე საბჭოთა ყრილობის მთელი მესამედი მართლა უპარტიონი კი არ არიან; ისინი ოპოზიციონური პარტიის წევრებია, მაგრამ კომუნისტთა სოციალისტური სახელმწიფო ისეთია, რომ იქ მუშათა კლასის მთელ მესამედს არ შეუძლია დაუსჯელათ გამოთქვას თავის პოლიტიკური მრწამსი. თუ ეს ასეა მით უარესი მოსკოველ დიქტატორებისათვის. ესეც ცუდი ნიშანია. ცნობილია, რომ ხიშტებზე ჯდომა დიდხანს შეუძლებელია, თუ გინდ ეს ჩრეზვიჩაიკის ხიშტებიც იყოს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საბჭოთა ყრილობა კიდევ ერთხელ აცხადებს საჯაროთა და ზეიმით, რომ კომუნისტურ რუსეთს სურს ზავი და კეთილგანწყობილება ევროპის ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან. ბოლშევიკებს თავის სოციალისტური რევოლიუცია მიაჩნდათ როგორც დიდი სოციალისტური ომის დასაწყისი ევროპის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა წინააღმდეგ. სხვა ფერი არც შეიძლება იყოს სოციალისტური რევოლიუცია. ერთი ქვეყნის სოციალისტური რევოლიუცია ანყველაზე უნდა გავრცელდეს, ან დაიღუპოს. თუ კომუნისტები ზავს კრავენ ევროპასთან, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი კომუნიზმზე ხელს იღებენ. ეს რასაკვირველია მოსაწონია. საჭიროა გვიან ვიდრე არასდროს.

ან კი რა უნდა ქნან ბოლშევიკებმა დღეს. ორი წელია, რაც სოციალიზმი დაამყარეს. ამ დროისათვის ისინი მუშებს სამოთხეს პირდებოდენ და ეხლა კი. . ეხლა ლენინი კომუნისტთა კონფერენციაზე 4 დეკემბერს შემდეგს აცხადებს: „სოციალისტური წყობილების საფუძვლის ჩასაყრელათ საჭიროა პრაქტიკულათ გადიჭრას ჩვენ მიერ სამი უმთავრესი კითხვა, პური, სათბობი და ეპიდემიასთან ბრძოლაო“. ბოლშევიკთა პოლიტიკური გაკოტრება ასე მოკლეთ და მკაფიოდ არავის გამოუთქვამს. რამდენი ხანია სოციალიზმი აშენებულათ გამოაცხადეს და თურმე ჯერ კიდევ საფუძველიც არ ყოფილა ჩაყრილი. პური, სათბობი და ჯანმრთელობა. ეს სოციალიზმისთვის კი არა პირუტყვული არსებობისთვისაც აუცილებელი საჭიროა რა არის ამაში სოციალისტური? შიმშილი, სიცივე და ჭირი. აი სამი უმთავრესი კითხვა, რომელიც ახასიათებს დღეს საბჭოთა რუსეთს. ამისთვის რა საჭირო იყო ოქტომბრის რევოლიუცია. ამაში რა არის ახალი. კაცობრიობის ისტორიის ძველ და საშუალო საუკუნოებში განა იშვიათათ იყო ასეთი მდგომარეობა?!

რა გასაკვირველია, რომ ამის შემდეგ რქა, მოტეხილ კომუნიზმს ერთგულ მეზობლობას ეფიცება თავიანთ მოსისხლე მტერთ—ევროპის იმპერიალისტებს.

## სასწრაფო საკითხი

როგორც პარტიულ, ისე პროფესიონალურ მოძრაობის პრაქტიკაში ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის სამწუხარო მოვლენა, რომ სრულიად არა სჩანან, ან და მეტად მცირეა ახალგაზრდა მუშაკთა რიცხვი.

მართალია, პარტიაშიც და პროფესიონალურ კავშირებშიაც მრავალი წევრია თავმოყრილი, მარა მათი როლი უფრო პასიურია, ვინემ აქტიური და ამ მასიდან დღემდის ძალიან ცოტა გამოვიდა მოძრაობის შესაფერი ხელმძღვანელები.

ყველგან, ყველა ორგანიზაციებში, ყველა პასუხისმგებელ პოსტებზე თქვენ ხედავთ უმეტესათ ისევ იმათ, ვინც აქტიურ მონაწილეობას იღებდა ჯერ კიდევ პირველ რევოლიუციაში და შემდეგაც არ გაშორებიან მოძრაობას. უდიდესმა მეორე რევოლიუციამ პარტია და კავშირები გააფართოვა, დატვირთა მრავალი საქმეებით, მაგრამ ამ მუშაობის პროცესში იშვიათად ხედებით იმ ახალგაზრდა ძალებს, რომელნიც მემკვიდრე უნდა გახდენ იმ ძალებისა, რომლებიც დღეს სათავეში უდგანან, როგორც ერთს, ისე მეორეს. და ეს მიუხედავად იმისა, რომ როგორც პარტიულ, ისე პროფესიონალურ მასაში მრავლათ მოიპოვებიან ისეთი ნიჭიერი ამხანაგები, რომლებიც ღირსეულათ შესძლებენ ამ მუშაობის ხელმძღვანელობას.

ამ ძალების გამოკრეფა, მათი თავმოყრა, სათანადო მომზადება და აქტიურ მუშაობაში ჩაბმა—ეს ერთი უმთავრესი მოვალეობათაგანი უნდა იყოს ჩვენი ორგანიზაციების დღევანდელი მესვეურებისათვის. მით უმეტეს უნდა ვიჩქაროთ ამ მხრით დღეს, როცა სახელმწიფო აღმაშენებლობითი მუშაობა თითქმის ერთთავად ჩვენ დაგვეკისრა და ამ რთულმა და მრავალ ფეროვანმა მუშაობამ აუარებელი ძალები მოითხოვა რის გამო პარტია და პროფესიონალური კავშირები თითქმის უდაბნოთ იქცა. ვინც ცოტათ თუ ბევრათ გამოცდილი და მომზადებული იყო სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში მოექცა. ახალი ძალები კი, როგორც ვთქვით, დაშორებული დარჩენ ხელმძღვანელ ორგანოებს, ამიტომ მათი პრაქტიკა, გამოცდილება და მომზადებაც ჩამორჩა დღევანდელ რთულ და საბედისწერო პირობების გაგება შესწავლას.

ამაში რა თქმა უნდა ზოგიერთი ბრალი დღევანდელ ხელმძღვანელებსაც ედება მარა ახლა ამაზე როდია ლაპარაკი. დღეს საჭიროა სერიოზული ყურადღება იქნეს მიქცეული ამ მხრით და ის ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომელიც ასე ბლომათ არის როგორც პარტიულ, ისე პროფესიონალურ კავშირების მასაში შესაფერ ხელმძღვანელობით მომზადებულ იქნას და პრაქტიკულ მუშაობაში ჩაებას. ეს იმდენათ სასწრაფოა, რომ, შეიძლება ითქვას, ამ ეთი მუშაობის ნაყოფიერებაზეა დამოკიდებული როგორც პარტიის, ისე სხვა მუშათა ორგანიზაციების საქმიანობა და მომავალი. თუ როგორ მოხერხდება ეს, ეს პრაქტიკის საქმეა. ჩვენ გვინდა მხოლოდ მივაქციოთ ჩვენი ორგანიზაციების ყურადღება ამ მხრით, რომ ის დღის წესრიგში დაისვას და ამისთვის სათანადო პრაქტიკული ნაბიჯები გადაიდგას. და თუ ჩვენ შევსძლებით მომზადება ნიჭიერი ამხანაგების თუ გინდ მცირე გუნდის—ეს იქნება მეტად დიდი საქმე. ეს მოგვცემს საშუალებას პატრონი და ხელმძღვანელი მივსცეთ იმ მრავალ ორგანოებს მუშათა მოძრაობისას, რომლებიც დღეს ასე უპატრონოთ არიან მიტოვებული.

ჩვენ ერთხელ კიდევ ვაქცევთ ამ გარემოებას როგორც პარტიის, ისე პროფესიონალური კავშირების ცენტრალური ორგანოების სერიოზულ ყურადღებას.

განი.

## პრესა

„აშხატავორს“ (№ 262) მოჰყავს „ერთობის“ მე 277 ნომერში დაბეჭდილი წერილი თფილისში დაჭერილი ბოლშევიკების დოკუმენტების შესახებ და შემდეგს სწერს:

„ერთობა“ ჩვეულებრივათ ამახინჯებს ფაქტებს. სარგებლობს იმ გარემოებით, რომ გაზეთის „რედაქტორმა არ დაბეჭდა“ სომხეთა ეროვნულ საბჭოს ჩივილი (ალბათ არ იყო ხელსაყრელი). ეროვნულ საბჭოს აწერს იმას, რაც შორს არის სინამდვილისაგან. ეროვნულ საბჭოს ჩივილში შემდეგია ნათქვამი:

„უკეთუ ზემოხსენებულ პირებს (ზურაბოვ ფირუმოვს) ჩაუდენიათ რაიმე ბოროტ მოქმედობა, ამ შემთხვევაში ეროვნული საბჭო, რომელიც ძვირათ აფასებს თავის ღირსებას, ყველაზე მეტათ დაინტერესებულია, რომ თავის შემადგენლობიდან გააძევოს დამნაშავე და ბოროტ მოქმედი ელემენტები. მაგრამ ამისთვის საჭიროა, რომ დამტკიცდეს დანაშაულობის ფაქტები, რომ დანაშაულობა გამოირკვეს რესპუბლიკის საზღვრებში არსებული კანონების საფუძველზე და დაენიშნოს შესაფერი სასჯელი, სხვა სიტყვით, უნდა იმოქმედოს სასამართლოს აპარატმა და არა ადმინისტრატიულმა ზომებმა.

„როგორც ჰხედავთ, ყველა ამის მიზანია „დანაშაულის“ გამორკვევა, რომელიც ძალიან შორს არის არშაკ ზურაბოვის „უბიწო ბატკანთ“ გამოცხადებიდან და მხოლოდ ელემენტარულ კანონიერების ერთი მოთხოვნილებაა.

„მაინც თვით ბოროტობით გახარებულ ერთობელების განმარტების შემდეგაც ჩვენთვის რჩება გაუგებარი თუ რისთვის დაუსჯელათ და კანონის არ ხმარებით გაგზავნეს საქართველოდან.“

რა მხრიდანაც არ უნდა მიუდგეს დაშნაკცუტიუნი და „აშხატავორი“, როცა საკითხი საქართველოს ეხება, ყოველთვის მხოლოდ თითონ არიან მართალნი.

ბ. ზურაბოვი რომ ბოლშევიკების მიერ მოსყიდული იყო, ეს დღეს ფაქტია. ამის შესახებ არის უკვე ბოლშევიკების საოლქო კომიტეტის პლენუმის დადგენილება, ფულის მიღება და ხელის მოწერა. „აშხატავორის“ მოვალეობა იყო ეთქვა თავის აზრი ამის შესახებ და არა წილადობილა ადმინისტრატიული გადასახლების და სხვა ასეთების შესახებ.

„აშხატავორი“ სიტყვას ბანზე აგდებს.

## თანამედროვე ინგლისის ეკონომიურ ცხოვრებიდან
(დასასრული)

სინდიკატების მიზანი ყველა ქვეყნებში ერთი და იგივეა. ყველა სინდიკატები—როგორც ამბობს გურიევი, —მიისწრაფვიან იმისკენ, რომ დამოუკიდებელ წარმოებათა შეერთებით, ხელი შეუწყონ სინდიკატის წევრთა ინტერესების დაკმაყოფილებას და შექმნან ისეთი პირობები, რომელნიც მეტად ხელსაყრელნი იქნებიან სინდიკატის საქონლებისთვის, რომ ამ რიგად მიაღწიონ კაპიტალზე შემოსავლის გადიდებას იმ დაწესებულებებში, რომელნიც სინდიკატების წყალობით გაერთიანდნენ.*)
სინდიკატის რეჟიმს ახალი ეპოქა შეაქვს კაცობრიობის ეკონომიურ ცხოვრებაში, ის სრულიად ბატონდება ვაჭრებზე, კიდევ მეტი ის ხსნის ხანას მრეწველობის მომხმარებელზე ბატონობისას, რადგან საქონლის ფასის სუვერენულ გამგეთ მხოლოდ სინდიკატი ხდება. მოვიყვან ორიოდე მაგალითს. ინგლისის ფაიფურის ფაბრიკანტთა სინდიკატის დადგენილებით 1889 წ. 30 დეკემბერს, ფასი ფაიფურზე 12 პროც. უნდა გადიდებულიყო. ეს დადგენილება ცხოვრებაში უცვლელად გატარდა, რადგან ამ სინდიკატს ინგლისის ბაზარზე მეტოქედ არავინ ჰყავდა, მთელი წარმოება მის ხელში იყო.**)

მარილის სინდიკატი, რომელიც უძველესია ინგლისში, და რომლის ხელშია წარმოების 90 პროც., ისეთ ფასებს აწესებს, როგორიც მისთვის უფრო სასიამოვნოა. ასე იქცევიან სხვა ძლიერი სინდიკატებიც, რომელთაც წარმოების უდიდესი ნაწილი მაინც ხელში აქვთ ჩაგდებული და მაშასადამე კონკურენციის არ ეშინიათ. მაგრამ ინგლისის მსხვილ მრეწველობას თუ თავის სახელმწიფოს ფარგლებში მეტოქე აღარ ჰყავდა, მის მეტოქედ გამოვიდნენ სხვა სახელმწიფოები და უპირველეს ყოვლისა გერმანია. ოთხმოციან წლებში ბრიტანიის რკინის ქარხნების კავშირმა გამოიკვლია, რომ მეტალურგიულ წარმოებაა ინგლისში უპირატესობა აქვს გერმანიის წარმოებაზე. 1895 წელს კი იგივე კავშირი აღნიშნავდა, რომ დიდი ბრიტანეთის მეტალურგიული წარმოება ძლეულ იქნა გერმანიის მიერ. სულ 10—15 წლის განმავლობაში გერმანელებმა შესძლეს ფოლადის გაუმჯობესება, განსაკუთრებით ლორენის და ლიუქსენბურგის მადნების გამოყენებით. ამ დროიდან ევროპის ბაზრიდან ნელ-ნელა იდევნება ინგლისის რკინის და ფოლადის ნაწარმოებნი. გერმანია საბაჟო ტარიფის წყალობით დიდ ფასებში ჰყიდდა რკინის თუ ფოლადის ნაწარმოებებს შინაურ ბაზარზე და დაწეულ ფასებში საზღვარგარეთ.

ჩვენ მოვიყვანთ ერთს მაგალითს. გერმანიის მრეწველნი უკანასკნელ წლებში ტონნა რკინას გერმანიაში ჰყიდდენ 130 მარკათ. ინგლისში კი 103—110 მარკათ. რკინის წარმოების საუკეთესო მცოდნეთა მტკიცებით, ინგლისი ვერავითარ შემთხვევაში ვერ შესძლებდა ასეთ დაბალ ფასებში რკინის გაყიდვას, რადგან თვით მწარმოებელს ტონნა რკინა უჯდება არა ნაკლებ 85—95 მანეთისა.

ჩვენ ზევით ვნახეთ, რომ სადამოჟნო ტარიფები დიდი ხნიდან მოისპო ინგლისში. გერმანიამ, რომელმაც დაამარცხა ინგლისი უდიდეს წარმოებაში, იწყო დიდძალი რკინის და ფოლადის ნაწარმოებთა ამ ქვეყანაში გატანა. ინგლისს მეტოქედ შინაურ ბაზარში გერმანია მოევლინა და მოევლინა იმ

*) იხ. გურიევი. სამრეწველო სინდიკატები გვ. 66—67, რუსულად.

**) გურიევი. სამრეწველო სინდიკატები გვ 29.

# დ ღ ე ს

გერმანიისადმი მიმართულ ნოტაში მოკავშირეები ჰკიცხავენ გერმანიას იმის გამო, რომ ის ცდილობს ისარგებლოს ამერიკის სურვილით არ მოხდეს ზავის რატიფიკაცია.

ამერიკის საზავო დელეგაციის პარიზიდან წასვლის გამო უმაღლესი საბჭოს სხდომაზე კლემანსომ თავისი მწუხარება გამოსთქვა.

კლემანსო ლონდონს მიდის, სადაც ინახულებს ლოიდ ჯორჯს და ინგლისის კაბინეტის წევრებს.

ინგლისში უმუშევართა რიცხვი იზრდება.

ბოლშევიკების ცნობით: ამერიკაში ნახშირის სიმცირის გამო მატარებლების მიმოსვლა შემცირდა; თუ გერმანია დაღუპული გემების ასანაზღაურებლად ფულს არ გადაუხდის მოკავშირეებს, მოკავშირეთა ჯარები მაინის ფრანკფურტს და ესსენს დაიკავებენ; ბერლინში აგიტაციას ეწევიან ჰინდენბურგის სასარგებლოდ; ეგვიპტეში მოძრაობაა.

წარმოებაში, რომელშიაც დაინტერესებულნი იყვენ ძლიერესი ინგლისის პიროვნებანი. რომ გერმანიის ნაწარმოებთა ინგლისში თუ მისი კოლონიებში შემოტანა შეეჩერებინათ, გაბატონებულ კლასის იდეოლოგებმა იწყეს გალაშქრება თავისუფალი ვაჭრობის წინააღმდეგ: „მხოლოდ მეორე ხარისხოვან მოაზროვნეს შეუძლია იყოს „თავისუფალი ვაჭრობის მომხრე“ სწერდა გამოჩენილი მეცნიერი ეშლი და ამით გამოხატავდა ინგლისის მსხვილ მრეწველთა სურვილებს. უკანასკნელ ხანებში აგიტაცია თავისუფალ ვაჭრობის წინააღმდეგ უფრო გაძლიერდა. დაჟინებით მოითხოვდენ თავისუფალ ვაჭრობის „მფარველ“ ვაჭრობით ე. ი. პროტექციონულ სისტემით შეცვლას, რაც ზოგიერთ შემთხვევებში კიდევაც განხორციელდა.

ჩვენ ზევით ვნახეთ, რომ ინგლისის სინდიკატები შეიჭრენ ეკონომიურ ცხოვრების თითქმის ყველა დარგებში. მაგრამ ეკონომიურ გაბატონებასთან ერთად იზრდებოდა მათი პოლიტიკური ინტერესებიც, სინდიკატების ბედნიერება დიდათ დამოკიდებულია სახელმწიფოებრივ პოლიტიკაზე. როგორც ვიცით, თანამედროვე სამხედრო იარაღების განვითარებამ მიაღწია უკიდურეს წერტილამდე. ყოველ წლივ ინგლისის მთავრობა სამხედრო იარაღებზე ხარჯავდა აუარებელ ფულს: მას გაჰყავდა სტრატეგიული დანიშნულების რკინის გზები, ყოველ წლივ აშენებდა დიდძალ სამხედრო გემებს, აკეთებდა ზარბაზნებს, თოფებს და სხვ. და მთელი ამ აუარებელი სამხედრო მასალების დამზადებას მთავრობა უკვეთდა მდიდარ სინდიკატებს, რომელთა სიძლიერე არ განისაზღვრება მარტო სიმდიდრით, არამედ დღითი დღე ხდებიან უფრო და უფრო გავლენიან პოლიტიკურ ძალათ. განსაკუთრებულ როლს თამაშობს ინგლისში რკინის და ფოლადის სინდიკატი, რადგან სწორეთ რკინის და ფოლადის მასალებიდან მზადდება თითქმის ყველა სამხედრო იარაღები. „ფოლადის მეფეების“ ხმას—სწერს პავლოვიჩი—განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობიან დიპლომატები, რომელნიც ხშირად არავითარ ყურადღებას არ აქცევენ მრეწველობის სხვა დარგების წარმომადგენელთა მოთხოვნილებებს, თუნდაც ეს უკანასკნელნი თამაშობდენ კოლოსალურ როლს ეკონომიურ მეურნეობაში ამა თუ იმ ქვეყნისა, მის ექსპორტში, სავაჭრო ბალანსში და სხ. *) ძლიერი რკინის თუ ფოლადის სინდიკატები ცდილობენ მთავრობა აიძულონ შეიარაღება გაძლიეროს და მასთანვე აგრესიული საგარეო პოლიტიკა აწარმოოს. აგრესიული პოლიტიკის წარმოებას კი მათი ინტერესი მოითხოვს. მთავრობის ძალდატანება, რომ მან შეიარაღება გაძლიეროს, ხდებოდა მით უფრო ადვილი, რომ დიდი ნაწილი ინგლისის პოლიტიკურ გავლენიან პირთა არიან აქციონერები სინდიკატების და მაშასადამე დაინტერესებულნი არიან მილიტარიზმის გაძლიერებაში.

პავლოვიჩის სიტყვით „მთელი თავდაცვის საქმე იმყოფება ხუთი კომპანიის ხელში. ეს ხუთი კამპანია, აუარებელი ფირმებით, შეადგენენ ერთ სამხედრო ტრესტს, რომლის კაპიტალი უდრის ორ მილიარდ ფრანკს. მთელი რიგი ინგლისის ადმირალებისა და კონტრ ადმირალებისა, მსხვილ სამოქალაქო მოხელეთა, ქვედა პალატის წევრებისა, მინისტრების არიან ზოგნი ამ ფირმების აქციონერები და სამხედრო ტრესტის ობლიგაციების მესაკუთრენი, ზოგნი კი დირექტორები და გამგეობის წევრები სამხედრო ქარხნებისა. აქედან ცხადია, თუ რისთვის ინგლისის პარლამენტი ასეთი გულუხვობით აძლევს მილიონებს ახალ სუპერ-დრედნოუტების გასაკეთებლად. მხოლოდ ერთი ფირმა „არმსტრანგი“ს ლორდთა პალატაში ჰყავს ოცდაათი თავისი აგენტი, ე. ი. აქციონერი“*).

უკანასკნელ წლებში არც ერთ სახელმწიფოს, გარდა რუსეთისა, არ დაუხარჯავს იმდენი ჯარზე და ფლოტზე, რამდენსაც ჰხარჯავდა ინგლისი. მისი ყოველწლიური ხარჯი აღემატებოდა მილიარდნახევარ ფრანკს.

ასე მაგალითად 1912 წელს ინგლისმა სამხედრო ბიუჯეტზე დახარჯა:

| | |
|---|---|
| არმიაზე . . . | 693.725.000 |
| ფლოტზე . . . | 1.071.450.000 |
| სულ | 1.765.175.000 ფრ. |

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უკანასკნელ წლებში ხუთ უზარმაზარ სინდიკატს მთავრობა უკვეთდა არა ნაკლებ მილიარდ ნახევარი ფრანკის სამხედრო აპარატისა. და როდი უნდა გაგვიკვირდეს თუ ასეთი ძლიერი სინდიკატების მეთაურნი ხშირად სწყვეტენ უდიდეს სახელმწიფო საკითხებს. ის რომ ინგლისი ომში ჩაერია ეს უპირველეს ყოვლისა მოხდა ამ ძლიერ სინდიკატების მეთაურთა მოთხოვნით. მათი ეკონომიური ინტერესები მოითხოვდა ინგლისის ომში ჩარევას.

ი. ხალაყაია.

*) იხ. პავლოვიჩი (ველტმანი): დიდი რკინის გზები და საზღვაო მიმოსვლა მომავალში. გვ. 12. რუსულად.

*) იხ. პავლოვიჩი: დიდი რკინის გზები და საზღვაო მიმოსვლა მომავალში. რუსულად.

# დამფუძნებელი კრება

**9 დეკემბრის სხდომა.**

თავმჯდომარეობს ს. მდივანი

ივ. გომართელის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი დეკრეტისა 1) სასამართლოს უწყების დაწესებულებათა შტატების შემცირებისა, ჯამაგირის მომატებისა და ზოგიერთ სხვა ცვლილებათა შესახებ, 2) ალექსანდრეს სახელობის ბავშვთა თავშესაფარის საჭიროებისათვის ყოველთვიურათ დამატებით 14,734 მ. და 50 კ. გადადების შესახებ.

დ. ონიაშვილის მოხსენებით უკამათოდ მიღებულ იქნა დეკრეტი გზათა დეპარტამენტისათვის 88,425 მ. კრედიტის გახსნისა მთავარ საავტომობილო სახელოსნოს გასაფართოებლათ გაწეულ ხარჯის დასაფარავათ.

ი. ფირცხალაიშვილის მოხსენებით მოხდა ზოგადი განხილვა კანონ პროექტისა აფთიაქის პატრონთა და მისა მსახურეთა ზოგიერთი დანაშაულობისათვის სასჯელის შეცვლის შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ზოგიერთი აფთიაქებში დიდი ბოროტ მოქმედება ხდება, როგორც ეს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დანიშნულ რევიზიას აღმოუჩენია. სხვადასხვა აფთიაქებიდან წაუღიათ ქაფური, იოდი და სხ. წამლები: ანალიზის დროს აღმოჩენილა, რომ ქაფური ყალბათ ყოფილა შედგენილი. ასეა იოდი და სხ. წამალი. ასეთი დანაშაულობისათვის წინეთ ყოფილა სულ მცირე სასჯელი და ან ჯარიმა 10 დან 100 მ. ამ კანონ პროექტის ძალით კი ჯარიმა სრულიად ისპობა და დამნაშავე დაისჯება 1 დან 2 წლამდე დატუსაღებით.

ილ. ფირცხალაიშვილისვე მოხსენებით მუხლობრივი განხილვით მიღებულ იქნა კანონ პროექტი აწ მოქმედ თამასუქის წესდების ზოგიერთი მუხლის შეცვლის შესახებ.

გ. ნათაძის და ნ. იმნაიშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სააგრონომიო განყოფილების გახსნისა.

თ. ღლონტის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი რკინის გზის დეპარტამენტისათვის 52,284,290 მან. დამატებით კრედიტის გახსნისა 1918 წ. ზენახარჯის დასაფარავათ. ამ დეკრეტის ძალით ფაქტიურათ ხაზინამ უნდა გაიღოს დეფიციტის დასაფარავათ მხოლოდ 3,672,494 მანეთი დანარჩენ თანხას ფარავს შემოსავალი.

**დეკრეტი მაზრის მილიციის მოსამსახურეთათვის ჯამაგირის გადიდებისა.**

მომხსენებელი დ. ონიაშვილი აღნიშნავს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო იმუშავებს ახალ შტატებს მაზრის ადმინისტრაციისას, მაგრამ, რადგანაც სხვადასხვა მიზეზებისა გამო ზოგიერთმა ერობებმა დროზე ვერ მიაწოდეს სამინისტროს სათანადო მასალები, დღემდე ვერ მოესწრო ამ შტატების გამომუშავება. ამ ჟამად სამინისტრომ მუშაობა დაასრულა და სახელმწიფო კონტროლიორს გადასცა დასკვნისათვის. ამ რიგათ, ახლო მომავალში ჩვენ შტატებს განვიხილავთ. მანამდე კი ეს დეკრეტი უნდა მივიღოთ.

**ლ. შენგელაია.** (ს. რ.) აღნიშნავს, რომ იმ ანარქიამ, რომელსაც ამ უკანასკნელ ხანებში ქონდა და აქვს ადგილი ჩვენში, სავსებით დაადასტურა, რომ ჩვენ არავითარი ადმინისტრატიული აპარატი არა გვაქვს მოწყობილი. ჩვენი ადმინისტრაციის დამახასიათებელი ის არის, რომ მას არა აქვს არავითარი პოლიტიკური და უფლებრივი შეგნება. მას ყველაფერი თავისებურათ ესმის. ამ ანარქიასთან ბრძოლაც თავისებურათ გაიგო და ამიტომაც არის, რომ ის აპატიმრებს ისეთ ხალხს, რომელსაც არავითარი დანაშაული არ მიუძღვის. რაც შეეხება ადმინისტრაციის ზნეობრივ მხარეს ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. არ არის ისეთი დანაშაული, რომელზედაც ადმინისტრაცია ხელს არ აწერდეს. ორატორს მოყავს გაზეთ „ერთობა“-დან ზოგიერთი ადგილები, სადაც ლაპარაკია ზოგიერთი მილიციონერის და ადმინისტრატორის დანაშაულობაზე და ამბობს, რომ ჩვენი ადმინისტრაცია წარმოადგენს ყაჩაღთა ბრბოს და მას ჩვენ კრედიტს ვერ გაუხსნით.

**თავმჯდომარე.** ბ. ორატორო, თქვენ უწოდებთ მილიციას ყაჩაღთა ბრბოს, თქვენ ამისთვის საკმაო საბუთი არა გაქვთ, თქვენ შეგიძლიათ ადმინისტრაციას ებრძოლოთ, მაგრამ მოგიწოდებთ ფრთხილათ ლაპარაკისაკენ.

**ლ. შენგელაია.** ჩვენი ადმინისტრაცია სუსტი გამოდგა ანარქიასთან ბრძოლაში, მან ვერ მოახერხა გადასახადების აკრეფა, ყაჩაღების თარეშის მოსპობა და სხვ. ამიტომ ჩვენს ფრაქციას არ შეუძლია ამ დეკრეტს ხმა მისცეს.

**მ. რუსია** (ს. დ.). როგორც დამფუძნებელ კრებას მოეხსენება, მილიცია არის ადგილობრივ თვითმართველობათა ხელში: სოფლათ ერობების და ქალაქათ—ქალაქის თვითმართველობათა ხელში. აი ამ ტრიბუნიდან შენგელაია ამტკიცებს, რომ ამ დემოკრატიულმა თვითმართველობებმა თავიანთ გარშემო შემოიკრიბეს ყაჩაღთა ბრბოები, რომელნიც სცარცვავენ და აწიოკებენ ხალხს. მე თქვენ გეკითხებით რა არის ეს? არის თუ არა ეს აგიტაცია თვითმართველობის წინააღმდეგ? მე მივმართავ ადგილობრივ თვითმართველობებს დააფასონ თუ ვისთვის არის სასარგებლო თქვენი მოღვაწეობა.

ერობებმა და ქალაქებმა მთავრობას მიმართეს თხოვნით, რომ მას გაეღო მილიციის შესანახად თანხა. შენგელაიამ უკვე გასცა პასუხი ამ შუამდგომლობას. მე მესმის, როცა „ერთობა“ და „მორბა“ სწერს მილიციის ზოგიერთ ნაკლულევანებაზე. ამით ისინი ეხმარებიან თვითმართველობებს მილიციის გაწმენდაში. შენგელაია კი სახელს უტეხს დემოკრატიას. მან მთელი მილიცია ყაჩაღთა ბრბოთ მონათლა. ეს ყოვლად დაუშვებელია. შემდეგ ორატორი აღნიშნავს, რომ დღეს ჩვენი ადმინისტრაცია გაცილებით უკეთესია და ჯანსაღი, ვინემ ერთი წლის წინეთ იყო.

**ნ. რამიშვილის პასუხი.**

სოც. რევოლუციონერებს ალაპარაკებს პარტიული მოსაზრებები. მე არ მომისმენია თავიდან ბ. ლ. შენგელაიას სიტყვა, მაგრამ ვიცი რომ, ეს იქნებოდა გაგრძელება იმ მორიგი ლექციისა, რომელსაც ის აქ წინეთ კითხულობდა. ჩვენ მუდამ გვეუბნებოდენ; რომ თქვენ წაართვით უფლებები ადგილობრივ თვითმართველობებს. როცა ჩვენ გადავეცით ადმინისტრაცია თვითმართველობებს, აქ გამოდიან და გვეუბნებიან: თქვენ ვერ მოაწყვეთ ადმინისტრაციის საქმეო. მე უნდა განვაცხადო, რომ კანონის ძალით მთავრობას აქვს კონტროლის და (აერთო) ხელმძღვანელობის უფლება. მთავრობა მოქმედობს ამ კანონის ფარგლებში და ადმინისტრაციას თუ რამე ნაკლი აქვს,—ნაკლი კი სახელმწიფოს ყველა დარგში არის, და ეს ნაკლი აქვს ადმინისტრაციასაც, მაგრამ ამაზე პასუხი უნდა მოეთხოვოს ადგილობრივ თვითმართველობებს. სოც. რევოლუციონერები კი ასე არ იქცევიან. მათ სახელმწიფოებრივი მოსაზრება როდი ალაპარაკებთ, მათ ამოძრავებთ პარტიული მოსაზრებები.

აქ იყო ნათქვამი, რომ ადმინისტრაცია აძლიერებს ანარქიზმს, ეს გამოსვლა, უნდა განვაცხადო თქვენს წინაშე, რამდენიმეთ მაინც გამოწვეული იყო იმ ზომებით, რომელიც მიიღო ჩვენმა ადმინისტრაციამ ზუგდიდის მაზრაში სოც. რევოლუციონერთა პარტიის ზოგიერთ წევრთა წინააღმდეგ. (ლ. შენგელაია: ეს დემაგოგიაა.) მე მაქვს ფაქტები. ზუგდიდის მაზრაში დაპატიმრებულ იქნა ცნობილი მამფორია, რომელმაც მთელი მაზრა აიკლო და რომელიც სოც. რევოლუციონერთა პარტიის წევრია. მის განთავისუფლების შესახებ რამოდენიმეჯერ მომმართეს მე სოც. რევ. დეპუტატებმა.

**ყაჩაღებთან ბრძოლა.**

რაც შეეხება ყაჩაღებთან ბრძოლას, ყველამ იცის თუ რა დიდ ზომებს ღებულობს ადმინისტრაცია ყაჩაღთა შესაპყრობათ. და უნდა განვაცხადო თქვენს წინაშე, რომ მთავარი ჯგუფები ყაჩაღებისა ყველგან შეპყრობილია. (ლ. შენგელაია: ეს ჯარმა და გვარდიამ გააკეთა) გვარდია და ადმინისტრაცია ყაჩაღთა წინააღმდეგ ერთად მოქმედობენ. აქ იყო ნათქვამი აგრეთვე, რომ ადმინისტრაცია აძლიერებს დეზერტირობასო, ეს მტკნარი სიცრუეა. თქვენ ალბათ იცით, მოქალაქენო, რომ უკანასკნელი გაწვევა ჯარში ჩატარდა გაცილებით უკეთესად, ვინემ ეს ხდებოდა წინათ.

**სოც. რევ. არა აქვთ უფლება გადასახადზე ილაპარაკონ.**

აქვს თუ არა უფლება გადასახადის აკრეფის შესახებ ილაპარაკოს იმ პარტიას, რომელმაც ზუგდიდის სამაზრო ერობაში ერთდროული გადასახადის წინააღმდეგ გაილაშქრა და მისი მოხსნა მოითხოვა? ის პარტია, რომელიც ასეთი ანტი სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას ეწევა ერობაში, არავითარი უფლება არა აქვს გადასახადის შესახებ ილაპარაკოს. ისინი ასეთ აგიტაციას არა მარტო ერობაში ეწევიან, არამედ ყველგან. ისინი ეუბნებიან ხალხს, რომ არავითარი გადასახადი არ გაიღონ და სხვ., მაგრამ ადმინისტრაციას მაინც მიღებული აქვს ზომები და წინააღმდეგ თქვენი სურვილისა, ბ. შენგელაია, მის აკრეფას ჩვენ შევძლებთ. ყველა ამის შემდეგ მე თქვენ გეკითხებით. რა უფლების ძალით გამოდიხართ აქ და სხვას უსაყვედურებთ, გადასახადის ასაკრეფათ ზომებს არ ღებულობთო?

**კომისართა თათბირის შესახებ.**

ამას წინეთ ჩვენ მოვიწვიეთ თათბირი, რომელსაც დაესწრენ ყველა უწყების წარმომადგენელნი და კომისრები. იქ ჩვენ ვლაპარაკობდით დეზერტირობის, ყაჩაღობის წინააღმდეგ საბრძოლველ ზომებზე. იქ სხვათა შორის დასმული იყო საკითხი მილიციის შესახებ. იქ არ იყო ლაპარაკი მილიციის სრულ უვარგისობაზე, არამედ გადახალისებაზე და ზოგიერთ კერძო შემადგენლობის შეცვლაზე. იქ დავადგინეთ აგრეთვე კურსების მოწყობა მილიციისათვის. ეს კურსები მოეწყობა ნაწილ ნაწილათ მაზრებში და მთავრობა არ ფიქრობს მთელი მილიციის მოხსნას და თფილისში მოწვევას, როგორც ეს ბ. შენგელაიას გონია. თათბირზე დადგენილი იყო აგრეთვე მცხოვრებთა განიარაღება, რაც სწარმოებს კიდევაც.

**ანარქიასთან ბრძოლის შესახებ.**

აქ შენგელაიამ განაცხადა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი ანარქიას ებრძვის მაშინ, როცა ის არსებობს და მაშინაც, როცა ის არ არსებობს. გამოდის, რომ ანარქიას ქმნიან. მართლაც ქმნიან ანარქიას, მაგრამ არა მთავრობა, არამედ ზოგიერთი პარტიები. როცა თქვენ (მიმართავს სოც. რევ.) აშკარა აგიტაციას ეწევით გადასახადების წინააღმდეგ და ანარიქის უმზადებთ ნიადაგს, მაშინ მთავრობა ვალდებულია თუ არა მიიღოს ზომები? დიახ, ვალდებულია, ის იღებს და კიდევაც მიიღებს. ნუ თუ, თქვენ, ბ. სოც. რევ., იმ განცხადებებმა და საბუთებმა, რომელიც გამოქვეყნებული იყო, არ დაგიმტკიცათ, რომ ჩვენს რესპუბლიკაზე სერიოზული თავდასხმა მზადდებოდა? და თუ ყველგან არ მოხდა ეს, სწორედ ჩვენი ადმინისტრაციის წყალობით, რომელმაც პირდაპირ შეუშალა ხელი მეამბოხეებს.

**არჩევნების შესახებ.**

აქ შენგელაიამ განაცხადა, რომ ადმინისტრაცია მონაწილეობას იღებდა არჩევნებშიო. და თუ მართლაც ადმინისტრაცია რაიმე მონაწილეობას იღებდა არჩევნებში, რაც კანონის ძალით აკრძალულია, რათ არ მოახსენეთ ეს საბუთი დამფუძნებელ კრებას მანდატების განხილვის დროს? თუ არ მიიღებდა თქვენს წინადადებას, თქვენ მორალური უფლება მაინც გექნებოდათ და ხალხი გაიგებდა სიმართლეს. (გობეჩია: ხალხმა იცის) ხალხმა იცის და გარკვეული არის თქვენს უკანონობაში, ხალხი რომ გარკვეული არ იყოს, მაშინ აქ გაცილებით უფრო მეტი წარმომადგენლები იქნებოდა თქვენი პარტიისა.

დასასრულ უნდა განვაცხადო, რომ ადმინისტრაციის გადახალისებლად მუშაობა სწარმოებდა და ახლაც სწარმოებს და მთავრობას სრული იმედი აქვს, რომ ერთი, ან ორი წლის განმავლობაში მოხდება სრული გადახალისება ადმინისტრაციისა (ტაში).

(დასასრული იქნება)

# ახალი ამბები

**გვარდიის დღე.** შრომის სამინისტრო აცხადებს. რომ 12 დეკემბერი (გვარდიის დღე) უქმად ითვლება.

**✦ თფილისის ქალაქის გამგეობა** აცხადებს იმ პირთა საყურადღებოთ, რომლებიც შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ გამოცემულ სავალდებულო დადგენილების ძალით უნდა გადასახლდენ თფილისიდან, რომ ქალაქის გამგეობა შეუთანხმდა რკინის გზის სამინისტროს და მათთვის შესაძლებელი არის დაინიშნოს განსაკუთრებული მატარებლები (თფილი ვაგონებით—„ტეპლუშკები“) თფილისიდან ბათუმამდე. მატარებელი გაიგზავნება იმ შემთხვევაში, თუ მსურველთა რიცხვი იქნება 300—400 სულამდე. თვითეულ ვაგონში მოთავსდება 40 კაცი, რომლებმაც უნდა გადაიხადონ მთელი ვაგონის ქირა 2.160 მანეთი. (თითო კაცს შეხვდება 54 მან.) ბარგი გაიგზავნება იმავე მატარებლით და ღირს ფუთი 9 მან. და 35 კაპ. ცნობებისთვის უნდა მიმართონ რკინის გზის სამმართველოში (ვაგზლისა და ელისაბედის ქუჩების კუთხეში) ექსპლოატაციის უფროსს.

**✦ სახელმწიფო დღესასწაული.** მთავრობამ დაადგინა 12 დეკემბერი აღიარებულ იქნას სახელმწიფო უქმე დღეთ. დაევალა შრომის მინისტრს შესაფერი დეკრეტი დაჩქარებით წარუდგინოს დამფუძნებელ კრებას.

**✦ ბოლშევიკების საქმის გარჩევის შესახებ.** თფილისის სასამართლო პალატის პროკურორმა მოახსენა იუსტიციის მინისტრს, რომ თფილისის სასამართლო პალატის საპროკურორო ზედამხედველობას მიეცა ცირკულიარული წინადადება, რათა ბოლშევიკების საქმეების გარჩევის დროს სასამართლოებმა იხელმძღვანელონ მთავრობის ა. წ. ნოემბრის 11 ის დეკრეტით.

**✦ ბორჩალოს მაზრაში** მომხდარი ყაჩაღური გამოსვლების გამო შინაგან საქმეთა სამინისტროში შემდგარმა თათბირმა დაადგინა: მოხდეს ბორჩალოს გვარდიის მობილიზაცია და გაძლიერდეს სანაპირო რაზმი.

**✦ საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების საკრებულოს სხდომა,** დანიშნული 12 დეკემბერს, გადატანილია 13 დეკემბრისთვის.

**✦ პროფესიონალური კავშირის ცენტრალურმა საბჭომ** ყველა კავშირებს შემდეგი მიწერილობა დაუგზავნა: პროფესიონალური კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატი ამით გიცხადებთ, რომ 12 დეკემბერს სახალხო გვარდიის დღის დღესასწაულია. ამ დღესასწაულში თქვენ გევალებათ მიიღოთ აქტიური მონაწილეობა, რისთვისაც სეკრეტარიატი გიგზავნით დღის მოქმედების შემდეგ წესრიგს: 1) გამოცხადდეს ყველა წევრებს ამ დღის უქმობა; 2) ამ დღეს ყველა უნდა გამოცხადდეს თავიანთ კავშირის შენობაში დილის 9 ს. დროშებით და თუ აქვთ, ორკესტრითაც; 3) ამორჩეულ იქნას ყოველ კავშირიდან ხელმძღვანელნი, რომელთაც ევალებათ: მუშების რიგ რიგათ დაწყობა და აცნობონ სეკრეტარიატს გამოსვლის საათი. ს მიწერილობა ყველა კავშირებმა სისწორით უნდა დაიცვან.

**✦ შეცდომის გასწორება.** გუშინდელ მეთაურში სწერია: ბოლშევიკებმა მოახდინეს ყველა ბინების ნაციონალიზაცია, უნდა იყოს: ბანკების ნაციონალიზაცია და სხ.

**კ რ ე ბ ე ბ ი**

დღეს, საღამოს 5 ს. ბიუროს ბინაზე დანიშნულია საქ. ს. დ. მ. პ. მე-6 რაიონულ კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა.

— დღეს, საღამოს 5 ს. შესდგება ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონულ კოლექტივის ჩვეულებრივი სხდომა, (კახეთის ქ. № 1).

— დღეს, საღ. 6 ს. შესდგება მეოთხე რაიონული კოლექტივის მორიგი სხდომა. კოლექტივის პრეზიდიუმის სხდომა 5 ს.

— დღეს, საღამოს 8 საათზე ბიუროს ბინაზე შესდგება საქართველოს ს. დ. მ. პ. მეორე რაიონული კოლექტივის წევრთა ჩვეულებრივი კრება.

# დეპეშები

საქართველოს ტელეგრაფო სააგენტო

**10 დეკემბერი**

**ბალშევიკური ცნობები.**

**მოსკოვი.** დეკემბრის 9. ნაუენი დეკ. 6 ნახშირის სიძვირის გამო შეერთებულ შტატებში რკინის გზის მიმოსვლა შემცირდა ერთი მესამედით.

**კარლსბურგი.** დეკ. 6. მოკავშირეებმა განაცხადეს, თუ გერმანია დაღუპულ გემების ასანაზღაურებლად ფულს არ გადაუხდის მათ, იმ შემთხვევაში მოკავშირეთა ჯარები მაინის ფრანკფურტსა და ესენს დაიჭერენ.

**ორშა.** დეკემბ. 7. ბერლინში ძლიერ აგიტაციას ეწევიან ჰინდენბურგის გერმანიის რესპუბლიკის პრეზიდენტათ ამორჩევის შესახებ. ამ ნიადაგზე ცხარე შეტაკებები მოხდა ნაციონალისტებსა და სოციალისტებს შორის, წესიერების დასამყარებლათ გამოწვეულ იქნა ჯარები.

**ნაუენი.** დეკ. 8 ქაირში დიდ გამოსვლებს ქონდა ადგილი. ჯარმა ხალხს ესროლა. არიან მკვდრები და დაჭრილები.

**რინობურგი.** დეკ. 4. ურალში, ნევიანსკის ახლოს მოინახა ლითონები ოქროს მდიდარი შემადგენლობით.

**პენზა.** დეკ. 8. პენზაში მღვდლისა და სასულიერო პირთა მრავალ ათასიან კრებაზე გადასწყვიტეს ახალი, თავისუფალი, სახალხო რუსეთის ეკლესიის შექმნა, რომელსაც ძირითად მიზნათ ექნება აღდგენა ქრისტეს სახარების წმინდა მოძღვრებისა, რომელიც ეკლესიის მეთაურება თავისი ფარისევლობით დაამახინჯა. ახალი ეკლესიის შექმნა მომასწავებელია რუსი სამღვდელოების ფორმა[...]რი განხეთქილების დასაწყისისა საბ[...] თა მთავრობის მიერ ეკლესიის სახ[...] მწიფოდან გამოყოფის შესახებ გამო[...]მულ დეკრეტების ცნობა, არ[...] ცნობ[...] ნიადაგზე.

**მოსკოვი.** სამხედრო ცნობა. დეკ. [...] კიევის რაიონში ჩვენმა მოწინავე ნა[...]ლებმა დაიჭირეს ბროვარი და ბორ[...]პოლი, რომელნიც კიევიდან აღმოს[...]ლეთით და სამხრეთ აღმოსავლეთ[...] 15—25 ვერსზე იმყოფება. ხარკო[...] მიმართულებით ჩვენმა ნაწილებმა ხ[...]კოვისა და პოლტავის შორის ბოგოდ[...]ხოვის სამხრეთ დასავლეთით 25 ვერ[...] რკინის გზას მიაღწიეს და ბოგოდუხ[...] ზოლოჩევის და ბელგოროდის სამხრეთ[...] მიიწევენ ვალუის მიმართულებით ჩ[...] მტრის ცხენოსან ჯარის სამი დღის წ[...] აღმდეგობა დავსძლიეთ ნოვო ოსკოლ[...] და ბირიუჩს შორის. დიდათ დაზიან[...]ბული მტერი სამხრეთისაკენ გაგრძ[...] ბირიუჩ-პავლოვსკის რაიონში ჩვენი [...]რი მდ. კალიტვაზე გადადის. წითე[...] ჯარები მიდიან დონთან პავლოვსკ[...] და მედვედიცის შესართავს შუა. ამ [...]იონში ჩვენ ხელთ ვიგდეთ მრავალი ტ[...] და 2 ტყვიისმფრქვეველი. ცარიცი[...] მიმართულებით დუბოვკის რაიონში ც[...]რე ბრძოლები იყო. დუბოვკის ჩრ[...]ლოეთ დასავლეთით ჩვენ დავამარცხ[...]რა მტრის პირველი ზაპაროჟის ყუბან[...] ყაზახთა პოლკი, ხელთ ჩავიგდეთ ტ[...]ები, 3 ტყვიისმფრქვეველი, დრო[...] ცხენები და მტრის ზურგს უკან და[...] ჰირეთ სოფ. დუბოვკა. ომი გრძელ[...]ბა. სემიპალატინსკის მიმართულებ[...] პავლოვის რაიონში ჩვენმა ნაწილებ[...] პავლოდარის სამხრეთით 100 ვერს[...] მდებარე სოფლების ხაზი დაიჭირა. ბა[...]ნაულის მიმართულებით 240 ვერს[...] ბარნაულის დასავლეთით ჩვენი ნაწილ[...]ბი მდ. ობს 60 ვერსით დაუახლოვდ[...] კაინსკის მიმართულებით ჩვენ კაინსკ[...] აღმოსავლეთით 85 ვერსზე სოფ. უბ[...]სკაია და მის სამხრეთით მყოფ სოფლე[...]ბის მთელი წყება დავიჭირეთ.

**სტოკჰოლმი.** დეკ. 3. შვეციის გა[...]თები იუწყებიან, რომ პარლამენტ[...] არჩევნებში სოციალისტების გამარჯ[...]ბის გამო იტალიის მეფე გადადგომ[...] აპირებს.

**სტოკჰოლმი.** დეკ. 2. შვეციის მე[...] რიგუსაგი დაითხოვა. დათხოვის მიზ[...] იყო შიში, რომ ესლანდელი რიგსტ[...] შვეციის ხალხთა ლიგაში შესვლაზე [...] დათანხმდება.

**იურიევი** დეკ. 5. ლონდონის „დე[...]ლი გერალდი“ იუწყება: ლონდონ[...] 124,000 უმუშევარია, მანჩესტერ[...] 23,000 გლაზგოში 16,000 ბელფასტ[...] 14,000. ბირმინგამში და ლივერპულ[...] 24,000. ინგლისის მთავრობის გა[...] წყვეტილებამ, შეეწყვიტონ მუშების დ[...] ხმარება, მუშათა წრეებში დიდი პრ[...]ტესტი გამოიწვია.

**ფრანგული რადიოს ცნობები**

კლემანსომ უმაღლეს საბჭოს სხდ[...]მაზე ამერიკის დელეგაციის მეთაუ[...] პოლკის წინაშე მწუხარება გამოსთქ[...] დელეგაციის ამერიკაში წასვლის გამ[...].

ბულგარეთის რწმუნებული სტამბ[...]ლინსკი გუშინ პარიზიდან რომით ბულ[...]გარეთში გაემგზავრა.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარ[...] კლემანსო, ოთხშაბათს პარიზიდან მი[...]დის ლონდონში, სადაც ინახულებ[...] ლოიდ ჯორჯსა და ინგლისის კაბინე[...]ტის წევრებს. პოლიტიკურ და ეკონო[...]მიურ საკითხების დიდმნიშვნელობა იწ[...]ვევს აუცილებლობას, რათა ორივე[...] მთავრობის თავმჯდომარეები პირადა[...] მოილაპარაკონ ერთმანეთს და ორივე[...] სახელმწიფოს მიერ წარმოებული პოლი[...]ტიკა შეთანხმებულათ განაგრძონ.

პოლკი და ამერიკის დელეგაციის წევრები ოთხშაბათს სტოვებენ პარიზს, რათა შეერთებულ შტატებში დაბრუნდენ. შეერთებულ შტატების პარიზის ელჩი უელისი იქნება ამერიკის დელეგაციის თავმჯდომარეთ და რწმუნებულად, მის თანაშემწეებათ დანიშნულია გრი[...] და გარრისონი.

რუმინია, ალბათ, ამ კვირის განმავ[...]ლობაში ხელს მოაწერს ხელშეკრულე[...]ბას, რომელიც პატარა სახელმწიფო[...]ებს ეხება, როგორც საზავო ხელშე[...]კრულებით ავსტრიასა და ბულგარეთთან. რაც შეეხება ოსმალეთს. რუმინიამ გა[...]დასწყვიტა ამ საკითხის შესახებ საბ[...]ჭოს თავისი შესწორებანი აცნობოს.

გერმანიისადმი მიმართული ნოტა[...] გერმანიის რწმუნებულებს ორშაბათს ჩააბარეს. ამ პასუხის ტექსტი ორი ნა[...]წილისაგან შესდგება. პირველი შეიცავ[...] მოთხოვნილებას, რომ გერმანიამ ხელ[...] მოაწეროს ხელშეკრულებას, მეორე[...] ეხება გერმანიის ფლოტის სკაპა-ფლო[...] დაღუპვის საკითხს.

„ბერლინერ ცაიტუნგის“ ცნობით გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი მიულერი, სამშაბათს ეროვნულ კრებაზე მოხსენებას გააკეთებს მოკავშირეებთან მოლაპარაკების შესახებ.

გაზეთებში გამოაქვეყნეს მოკავშირეების ნოტა, რომელიც გუშინ ფონ ლერსნერს ჩააბარეს. ნოტა ჰკიცხავს გერმანიის ცდას იმის გამო, რომ ის ცდილობს ისარგებლოს ამერიკის სურვილით არ მოხდეს ზავის რატიფიკაცია.

# 12 დეკემბერს ემზადეთ, ამხანაგებო, ამ დღისათვის ყვარლის დღეა

და სამხედრო ტყვეების სამშობლოში დაბრუნების საკითხი თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. სხვა გამოქვეყნებული საბუთები შეეხება სპეციალურ ნოტას სკაპა ფლოში ჩაძირულ ფლოტის შესახებ და წინეთ ნაჩვენებ კომპენსაციებს მოითხოვს.

**გერმანული პრესის ცნობები.**

ავსტრიის კანცლერი რენნერი პარიზიდან დაბრუნების შემდეგ პრაგაში წავიდა გარეშე საქმეთა მინისტრ ბენეშთან მოსალაპარაკებლად ავსტრიასა და ჩეხო-სლოვაკიას შორის ეკონომიური და პოლიტიკური დამოკიდებულების მოსაწესრიგებლად. რენერს თან ახლდნენ რამდენიმე გამოცდილი ეკონომისტი.

მანჩესტერში, ლიბერალების კავშირში, ლოიდ ჯორჯმა სიტყვა წარმოსთქვა, რომელმაც, გარდა „დეილი ტელეგრაფისა“ და „დეილი ქრონიკისა“ საზოგადო უკმაყოფილება გამოიწვია. მიუხედავათ ლოიდ ჯორჯის განცხადებისა, დანამდვილებით სჩანს, რომ ლიბერალებსა და უნიონისტებს შორის არსებითი განსხვავებაა.

შვეიცარიის კავშირთა საბჭომ აკრძალა გერმანიის დვამების შემოზიდვა, რადგან ხისა და დგამის წარმოების მუშათა კავშირს ეშინია უმუშევრობისა.

## უცხოეთი

### რუსეთი.

**ახალ პოლიტიკურ კურსისთვის.** მოხალისეთა გაზეთების ცნობით 26 ნოემბერს უნდა შემდგარიყო საგანგებო სხდომა მოხალისეთა სარდლობასთან არსებულ საგანგებო სათათბიროსი გენ. დენიკინის თავმჯდომარეობით. პოლიტიკური წრეები ამ სხდომას და შემდეგ სხდომებს დიდ მნიშვნელობას აკუთვნებენ. საქმე იმაშია, რომ ყუბანის დამოუკიდებლობისადმი მისწრაფების მოსპობის შემდეგ საგანგებო სათათბიროს უახლოესმა სხდომებმა უნდა გამოარკვიონ მოხალისეთა სარდლობის ახალი პოლიტიკური კურსი.

**ლენინი საბჭოთა რუსეთის შესახებ.** საბჭოთა მე-7 ყრილობაზე ლენინმა საბჭოთა რუსეთის საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკის შესახებ შემდეგი სთქვა: საერთაშორისო რევოლიუციაზე დაყრდნობის იმედი ჩვენ გაგვიმართლდა. ჩვენ ანტანტაზე სუსტნი ვართ, მაგრამ მაინც გავიმარჯვეთ ჩვენ სამჯერ გავიმარჯვეთ: პირველი—მიუხედავათ ტეხნიკურ სიძლიერისა და ჯარების სიმრავლისა, ჩვენ მოვახერხეთ საქმე ისე მოგვეწყო, რომ ანტანტის ჯარი არ იბრძვის ჩვენ წინააღმდეგ: „ბოლშევიზმის სენმა“ დაისადგურა მათ ჯარში; მეორე—ანტანტამ ვერ მოახერხა აემხედრებია ჩვენს წინააღმდეგ წვრილი ბურჟუაზიული სახელმწიფოები; მესამე—ანტანტის სახელმწიფოების წვრილი ბურჟუაზია და ინტელიგენცია ჩვენს მხარეზეა, ანტანტა ვერ გაბედავს ომი გამოგვიცხადოს. შემდეგ ლენინი შეეხო იმ ევოლიუციას, რომელიც გლეხობამ განიცადა და დაასკვნა, რომ გლეხობამ ირჩია თავისთვის საუმჯობესოთ პროლეტარიატის დიქტატურა.

ტერორის შესახებ ლენინმა განაცხადა, რომ იგი გამოწვეულია ანტანტის ტერორიზმით. ეხლა, როდესაც ომი შესაძლებელია დაბოლოვდეს, მისი აზრით, საჭიროა მთელი ენერგიის მიმართვა, რომ მოწესრიგებულ იქნეს სასურსათო საქმე; იგი აღნიშნავს გაუმჯობესებას ამ სფეროში წინანდელთან შედარებით. სიტყვის დასასრულს ის მოუწოდებს მუშებსა და გლეხებს ენერგიულად იბრძოლონ „შიმშილს, სიცივეს და მკბენარებს“.

ლენინის მიერ წარმოდგენილი რეზოლიუციის ტექსტი, რომელიც შეიცავს მოკავშირე სახელმწიფოებისადმი ახილ წინადადებას საზავო მოლაპარაკების დაწყების შესახებ,—ყრილობამ ერთხმად მიიღო.

### ინგლისი.

**მუშათა პარტიის გამარჯვება** ინგლისში მუშათა პარტიამ მუნიციპალურ არჩევნებში ბრწყინვალედ გაიმარჯვა. უკანასკნელ მუნიციპალურ არჩევნების დროს 1912 წ. ლონდონის რაიონში მუშათა პარტიამ მიიღო 48 ალაგი; წელს კი—273. შემდეგი ციფრები ნათლათ მოწმობენ მუშათა პარტიის გამარჯვების სიდიდეს; სხვადასხვა პარტიებმა მიიღეს:

| | 1919 წ. | 1912 წ. |
|---|---|---|
| მუშათა პარტიამ | 566 ალაგი | 39 ალ. |
| მუნიციპალ. რეფორმატთა პარტიამ | — — 534 „ | 1010 „ |
| პროგრესისტებმა | 130 „ | 257 „ |
| დამოუკიდებლებმა | 38 „ | 24 „ |

ქალებმა 97 კანდიდატი გაიყვანეს. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამრჩ

ველთა უმცირესობამ განსაკუთრებული ინდიფერენტიზმი არჩევნებისადმი ქალებს ეტყობოდა.

**რკინის გზელთა მოთხოვნილება.** ინგლისის რკინის გზელთა ფედერაციის ხელმძღვანელმა—ტომასმა კემბრიჯში სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც შემდეგ ნაირათ გამოხატა რკინის გზელთა მოთხოვნილებები: რკინის გზელები მოითხოვენ მთავრობისაგან, რათა უკანასკნელმა იცნოს მათი კავშირი ისე, როგორც სცნობს სარკინისგზო კამპანიების წარმომადგენლობით ორგანოებს. ჩვენ მოვითხოვთ დაშვებული ვიქნეთ კომპანიების ადმინისტრატიულ საბჭოებში. ჩვენ შევალთ იქ, განაცხადა ტომასმა

### ამერიკა

**მადაროში მომუშავეთა გაფიცვა.** შეერთებულ შტატების მადაროებში მომუშავეთა დიდი გაფიცვა გრძელდება. გაზ. „ჩიკაგოს ტრიბუნა“-ს ვაშინგტონელ კორესპონდენტის ცნობით მთავრობა ყოველგვარ ზომებს მიმართავს, რათა საკითხი გადაცემულ იქნას შემათანხმებელ კომისიაში. შრომის ამერიკულ ფედერაციის პრეზიდენტი გომპერსი ამ საკითხში მთავრობას უჭერს მხარს. მთავრობის მხრივ მიღებულია ისეთი ზომები, რომლებიც გაფიცვას ხელს უშლის. მადაროების დასაცავათ მთავრობამ შეკრიბა ჯარები: 52 ქვეითი რაზმი, 28 საარტილერიო ბრიგადა, 4 საკავალერიო რაზმი და 20 მიტრალიეტებით შეიარაღებული ბატალიონები. მუშების მოთხოვნილება შემდეგია: 6 საათის სამუშაო დღე და 5 დღიანი სამუშაო კვირა; ხელფასის გადიდება 60 პროცენტით; ერთ ნახევარი ქირა ზედმეტ საათების მუშაობისთვის; ორმაგი ქირა კვირა უქმეებში; ხელშეკრულების დარღვევისათვის ჯარიმების გაუქმება.

**ნეგრების საკითხი.** ნიუიორკში ოქტომბრის დამლევს გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგი ეგრედ წოდებულ შავკანიანებისა. „ნეგრების მდგომარეობის გასაუმჯობესებელ საზოგადოების“ თავმჯდომარემ მარკ გარვეიმ განაცხადა, რომ 400 მილიონი წევრები მზად არიან სისხლით დაიცვან თავიანთ რასის ინტერესები. ზემოხსენებულ საზოგადოებაში 2,400 ათასი წევრი ირიცხება. საზოგადოებას ჰყავს თავის საკუთარი გემი „შავი ვარსკვლავის საზოგადოება“, რომლის მიზანიც არის ხელი შეუწყოს ნაციონალურ ვაჭრობის განვითარებას. მიტინგი. მოწვეული იყო გემის ნიუიორკიდან გასვლის პირველ დღის აღსანიშნავად, მაგრამ მალე მიტინგი გადაიქცა თეთრების წინააღმდეგ დემონსტრაციათ. ტრიბუნაზე გამოჩნდა თუ არა მარკ გარვეი მას მიესალმენ მომლოცველები შემდეგი სიტყვებით „როდესაც აფრიკა განთავისუფლდება და ჩვენ მოვიპოვებთ დამოუკიდებლობას, ჩვენ წავიყვანთ ხალხს შავი ვარსკვლავის გზით. დიდ იცოდინ ნეგრებმა, რომ შავ ვარსკვლავს ჰყავს დამცველებათ ღმერთი და მარკ გარვეი“. თავის სიტყვაში მარკ გარვეიმ აღნიშნა, რომ „თეთრების“ დასაცავათ დაღვრილ სისხლში ნეგრებმა ჯილდოთ მხოლოდ ზიზღი დაიმსახურეს. დადგება ჟამი, სთქვა გარვეიმ, როდესაც ნეგრები მამაც მებრძოლებათ მოგვევლინებიან, მაგრამ მებრძოლებათ თავიანთ თავის დასაცავათ; ეს იქნება უსაშინელესი სისხლის ღვრა, რაც ჯერ არ მოსწრებია ქვეყანას! თავისი სიტყვა გარვეიმ დაათავა მოწოდებით, შექნან ნეგრებმა აფრიკაში დამოუკიდებელი რესპუბლიკა.

## ცოლი და ქმარი

უქმე დღე იყო, დილით გასული
ქმარი არც მოსჩანს შუაღამისას,
ცოლს მოუთმენლად ბრაზი ერევა
და თანაც სახეს ლოცულობს ქმრისას.

გაისეირა, ისიამოვნა,
გათენებისას დაბრუნდა ბოლოს;
„მადლობა ღმერთსო“—იფიქრა ცოლმა,
სიტყვით კი ქმარი ლამის დაჰქოლოს:

— მე აქ სადილად გელოდებოდი,
შენ იქ ვახშმადაც გარედ ივახშმე;
შენა ჰთარეშობ, მე აქ ვაბივარ,
ამ სახლის გარედ გზა არა მაქვს მე!

— მაგ შენს საბმელზე გინდა მეც ვება?
რამდენჯერ მითქვამ—ვერა და ვერა!
სთქვა ეს ბატონმა ქმარმა და უმალ
მაგარი ხვრინვა გააძლიერა.

უთანაგრძნობო და უპატიო
დარჩება ცოლი... ყოფილა წინათ—
იჯდა დილამდე, გაწბილებული,
იჯდა უსიტყვო, ბავშვებს ეძინათ.

ბაბილინა.

## მადლობის წერილი

(წერ. რედ. მიმართ)

გთხოვთ პატარა ადგილი დამითმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში, რომ მომეცეს საშუალება გერმანიაში ყოფილ ქართველ სამხედრო ტყვეების სახელით ჩვენი მადლობა ვუძღვნა გერმანიის ხალხს საქართველოში დაბრუნების შემდეგ.

მე ზნეობრივ მოვალედ ვთვლი ჩემს თავს ყოფილ ქართველ სამხედრო ტყვეების წინაშე და აგრეთვე ჩვენი კეთილმასპინძელი გერმანიის წინაშე ჩემი მოვალეობა მოვიხადო იმ დიდი დაუფასებელ სტუმართ-მოყვარეული პატივცემისათვის, რომელიც გერმანელებმა გასწიეს ჩვენ, უცხოეთში მდგომარეობაში მყოფ სამხედრო ქართველ ჯარის კაცებს, მიუხედავად იმ ძნელი პირობებისა, რომელიც იყო ომისაგან გამოწვეული და რომელშიაც თითონ უხდებოდათ ცხოვრება.

თითქმის ხუთი წელიწადი შესრულდა მას აქეთ, რაც უცხო სახელმწიფოში, უგანათლებულესი ერთან ჩვენდა უნებლიედ მოგვიხდა ცხოვრება. ეს ხუთი წელი არც ისე პატარაა, რომ ჩვენი შთაბეჭდილებანი არ გამოვსთქვათ მათ ცხოვრების ისტორიიდან. ყოველი მიუდგომელი და ჭკუასთან ახლოს მყოფელი ადამიანი ადვილად შეაფასებს გერმანიის ერის სულიერ და გონებრივ სიმაღლეს; შეაფასებს მისი სამშობლოსადმი სიყვარულს და იმ პატიოსან თავდადებულ შრომის მოყვარეობას, რომელსაც ეწევიან გერმანელი გლეხები და მუშები, აგრეთვე გერმანელი დედაკაცებიც.

მთელი ამ ომის განმავლობაში და რევოლიუციის შემდეგაც მათთან ახლო ცხოვრებამ, ჩვენ საშუალება მოგვცა გავცნობოდით მთელი მათ ცხოვრებას, მაგრამ ჩვენდამი სიყვარულისა და სიმპატიის მეტი ვერაფერი აღმოგვიჩენია.

მე, როგორც რუსის მთავრობის წყალობით უსწავლელი სოფლის გლეხს, არ შემიძლია ამ პატარა სამადლობელო ბარათში ყველაფერის ნათლად აღწერა, რაც გერმანიის შრომის მოყვარულმა ერმა ჩვენში აღმოუფხვრელი სიყვარული დანერგა. მხოლოდ ვიტყვი რომ. როდესაც უკანასკნელად ვტოვებდით ქალაქ ზაგანის რაიონში აბიბინებული პურის ყანებს, მშვენიერ გზა-ფენილებს, გერმანიის უდიდესი ქალაქ ბერლინს და პირველ ხარისხოვან ქალაქ ჰამბურგის ნავთ სადგურს, ჩვენს გულში უკანასკნელად იბეჭდებოდა გერმანიის ერისადმი სიყვარული. განსაკუთრებითი ყურადღების ღირსია ქ. ზაგანისა და ჰამბურგის მცხოვრებლები იმ პატივცემისთვის, რომელიც მათ გაგვიწიეს ნიშნად ჩვენი გამოსვლის უკანასკნელ ჟამებში.

ეს ჩვენდამი დამსახურებული სიმპატია იქნება მომავალში საძირკველი კეთილ განწყობილებისა გერმანიის ერის წინაშე. გერმანიიდან დაბრუნებულმა 2000 ზე მეტი ქართველ სამხედრო ტყვეებმა, თავიანთ მომავალსაც უნდა გადასცენ:—მადლობის ღირსია ის ხალხი, რომელმაც ჩვენი სიცოცხლე და ჯანმთელობა შეგვინარჩუნა.

ბ—ნო რედაქტორო, დიდს სამსახურს გამიწევთ, თუ ამ ჩემს წერილს გერმანულ გაზეთში გადაბეჭდვის საშუალებას მომცემთ.

მიიღეთ ჩემი გულწრფელი სალამი.

გერმანიიდან დაბრუნებული სამხედრო ტყვე სოფლელი გლეხი

ერისტო დ. კაპარავა

დ. ხაბუმე. 1. 10. 1919 წელი.

## გრიგოლ კოიავა

31 ოქტომბერს, ს. აბაშის დემოკრატიამ მიწას მიაბარა საკაცობრიო იდეალებით გამსჭვალული, შეგნებული ახალ გაზრდა, სენაკის სამაზრო ერობის ხმოსანი გრიგოლ დიმიტრის ძე კოიავა.

გრიგოლი ეკუთვნის იმ უებდო ადამიანთა ჯგუფს, რომელთა წმინდა სურვილებს ფრთები ეკვეცება, რომელთა ყვავილი გაუფურჩქვნელად ჭკნება, რომელთაც ბედი საშინელ ბოლოს უმზადებს. საუკეთესო წლები თავის ახალგაზრდობისა ფოთში გაატარა. აქ გაეცნო ის პირველად პოლიტიკურ ცხოვრებას და დაიწყო მუშათა ფარულ ორგანიზაციებში აქტიურ მონაწილეობის მიღება. სამსახურში გრიგოლი შეუდარებელ სიბეჯითესა და მუყაითობას იჩენდა და საკმაო ავტორიტეტითაც სარგებლობდა (მსახურობდა იტალიელთა ქარხნის კანტორაში).

ომის დაწყების შემდეგ გრიგოლი სოხუმში გადადის სამსახურში. აქ მას ეროთა განმავლობაში ფიზიკური სისუსტე დაეტყო (ტუბერკულიოზის სიმპტომები), რამაც აიძულა დაბრუნებულიყო თავის სოფელში.

არა ნაკლებ თავდადებული იყო გრიგოლი საერთო საქმეში.

რევოლიუციის პირველ თვეებში მოუხდა მას დაბრუნება სამშობლოში, სადაც ის მთელი თავისი ძალ-ღონით ჩაება რევოლიუციის ფერხულში. გრიგოლს თუმცა ავადმყოფობა ელობებოდა წინ, მაგრამ ის მას არაფერს არ უთმობდა, ხედავდა რა მომენტის სიდიადეს.

მაგრამ დაუნდობელმა სენმა არ დააცალა გრიგოლს განეგრძო ხალხის სამსახური და უდროოდ მოესპო სიცოცხლე.

აბაშის საზოგადოებამ მასში დაჰკარგა პატიოსანი და საერთო საქმისათვის თავდადებული მოქალაქე, ჩვენმა პარტიამ—შეგნებული და დაუშრეტელი ენერგიის მქონე ამხანაგი, მე კი პირადად გულწრფელი, ყოველგვარ საქმეში კეთილი რჩევა-დარიგების მომცემი და გამამხნევებელი ძმა მეგობარი...

მშვიდობით...

შენი ვარლამი

## ოზურგეთის სამაზ. ერობ. არაჩვეულებ. ყრილობა

22 ნოემბერს გაიხსნა ოზურგეთის სამაზრო საერობო არაჩვეულებრივი ყრილობა ხმ. ბ. ჩხიკვიშვილის თავმჯდომარეობით და კ. ბერიძის მდივნობით. დაესწრო 23 ხმოსანი. განსახილველი იყო საკითხები: 1) ხე ტყის მრეწველობის წარმოებისა და ამერიკელ მოქალაქის ვან ლიუდან ქარხნის შესაძენათ სესხის გამოთხოვა მთავრობისაგან; 2) სანიტარული გადასახადი; 3) მოსამსახურეთა შტატი; 4) ხარჯთ აღრიცხვის გარეშე გაწეული ხარჯების დამტკიცება; 5) საექიმო პუნქტები და 6) მიმდინარე საკითხები: ა) ჭაობებიანი მამულების შესახებ, ბ) ოზურგეთ ნატანების გზაზე ტვირთის გადაზიდვის ნიხრისა და გადასახადის დაწესება; გ) სოფ. აპუთვანისა და ებლაურის სახელწოდების შეცვლა; დ) ნანეიშვილისეულის თემის სახელწოდების შეცვლა; ე) ფონდის მიწებიდან ნაკვეთების თხოვა ერობის საჭიროებისათვის; ვ) წვრილი საერობო ერთეულების სახელწოდება; ზ) დღიურები გამგეობის წევრთა და მოსამსახურეთათვის; თ) მასწავლებელთათვის ას მანეთიანი დამატების შესახებ და ი) ჩოხატაურ საჯავახოს გზა-ტკეცილის შესახებ.

ყრილობის გახსნისას გამგეობის თავმჯდომარე ბ. ს. ჭანტურიშვილი მოკლე მოხსენებას აკეთებს უკანასკნელი გამოსვლების შესახებ.

ყრილობა, ღებულობს რა თავმჯდ. ბ. ჩხიკვიშვილს წინადადებას ამ საკითხზე მსჯელობის შემდეგ სხდომისთვის გადადების შესახებ, ფეხზე ადგომით პატივს სცემს ანარქიასთან ბრძოლაში დაღუპულთა ხსოვნას და ადგენს: „ალიძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე რათა უზრუნველყოფილი იქნას სახელმწიფო ხარჯზე ხოცულთა ოჯახები.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს გამგ. თავმჯდომარე ბ. ჭანტურიშვილი. ის ამბობს, რომ არსებულ პირობებში ერობას არ შეუძლია გადასახადებით არსებობა, მან წარმოებას უნდა მოჰკიდოს ხელი; გამგეობამ გადასწყვიტა ხეტყის წარმოება გააჩაღოს. ამ მიზნით მას გადაწყვეტილი აქვს შეიძინოს ნატანებში არსებული ხეტყის საწარმოვო ქარხანა, რომელიც ეკუთვნის ამერიკელ ვან ლიუსს. გამგეობამ ამ უკანასკნელთან მოლაპარაკებაც გამართა და თანხმობაც მიიღო.

ყველა ფრაქციები სიამოვნებით ეგებებიან გამგეობის მოხსენებას და უსურვებენ გამგეობას ასეთივე ნაბიჯის გადადგმას სხვა დარგებშიაც. ყრილობა ერთხმათ ადგენს: „1) მიენდოს ერობის გამგეობას გამოითხოვოს მთავრობისაგან სამი მილიონი მანეთის სესხი ხეტყის წარმოების მოსაწყობათ იმ პირობით, რა პირობითაც მიიღებს ამ შუამდგომლობას საქართვ. რესპ. დამფ. კრება; აგრეთვე აილოს საექსპლოატაციოთ გურიანთის ტყე სათანადო წესით, 2) მიენდოს ერობის გამგეობას ამერიკელ მოქალაქე ვან-ლიუდან მიშა ნაკაშიძის ნაქონი ხე-ტყის ქარხნის შეძენა მთავრობისაგან აღებული სესხით და საამისო ნასყიდობის გაკეთება ოზურგეთის ერობის სახელით და 3) დაევალოს ერობას გამოიკვლიოს, შეისწავლოს და კიდევაც შეიძინოს და აამუშაოს გურიაში არსებული ტყეები საჭიროების მიხედვით და მიეცეს მას უფლება აილოს სესხათ მთავრობისაგან, ან კერძო ბანკებისა თუ დაწესებულებათაგან ორი (2,000000) მილიონი მანეთი“.

სანიტარული გადასახადის შესახებ მოხსენებას აკეთებს ს. ჭანტურიშვილი. გადასახადის მთელი ჯამი შეადგენს—1,744,000 მანეთს. გადასახადი უნდა გაიწეროს არა უგვიანეს 15 დეკემბრისა, უნდა აიკრიბოს არა უგვიანეს 30 დეკემბრისა. 10 პროცენ. შემოსული გადასახადისა რჩება თემის გამგეობას, დანარჩენი კი თემს შეაქვს სამაზრო ერობის კასაში არა უგვიანეს 1920 წლის 5 იანვრისა. ყრილობა, მუხლობრივ იხილავს რა გადასახადის განაწილების ნუსხას, მცირე კამათის შემდეგ ღებულობს მას მცირე შესწორებით, რაიც გამოიხატა ნიგოითის თემისთვის 15,000 მანეთის დაკლებაში. ნუსხა ამ გადასახადის თემებზე განაწილებისა ასეთია: 1) დვაბზუს თემს—80,000 მან. 2) მიქელ გაბრიელის—92000 მან. 3) ლიხაურის—25,000 მან. 4) გურიანთის—24,000 მან. 5) ხვარბეთის—44,000 მან. 6) შემოქმედის—70,000 მან. 7) ბახვის—45,000 მან. 8) ჩიბათის—66,000 მან 9) აკეთის—65,000 მან. 10) შუხუთის—23000 მანეთი. 11) ძიმითის—33,500 მანეთი. 12) ნიგოითის—63,000 მანეთი. 13) ჯუმათის—30,000 მან 14) აცანის—20,000 მან. 15) ჯურუყვეთის—44,000 მან. 16) ჩოჩხათის—35,000 მან. 17) სუფსის—175,000 მან. 18) ასკანის—32,000 მან. 19) ხიდისთავის—175,000 მან. 20) ნაგომრის—35,000 მან. 21) ზემოხეთის—46,000 მან 22) ამაღლების—34,500 მან. 23) ნანეიშვილისეულის—35,000 მან. 24) სურების—30,000 მან. 25) ერკეთის—57,000 მან. 26) ჩოხატაურის—350,000 მან ჯ. მი—1,729,000 მან.

საკითხები მოსამსახურეთა შტატის, მათი ჯამაგირებისა და დღიურების შესახებ გადაეცა კომისიას წინასწარ განსახილველათ.

—

23 ნოემბერს, თავმჯდომარემ გააცნო კრებას ყველა ფრაქციების წარმომადგენელთა მიერ შემუშავებული შემდეგი რეზოლიუცია ბ ნი ჭანტურიშვილის მიერ წინა კრებაზე მოხსენებული ანარქიული გამოსვლების შესახებ:

„ოზურგეთის სამაზრო ერობის ხმოსანთა ყრილობა, გამოსთქვამს რა ღრმა მწუხარებას გურიაში მომხდარ შეიარაღებული გამოსვლის გამო უკანასკნელ დღეებში, საქვეყნოთ აცხადებს:

„1. დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამშობლოს წინააღმდეგ მიმართულ მოღალატური და თავხედური მოქმედება არ გამომდინარეობს მასის საერთო სოციალურ მდგომარეობისაგან და არაფერი აქვს საერთო ხალხის სულიერ განწყობილებასთან; ეს იყო ბოროტმოქმედთა შეთქმულება, მიმართული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის წინააღმდეგ და მათ აალაგმავათ და დასასჯელათ მიღებული ზომები გატარებული უნდა იქნას ბოლომდე.

2) ერობის გამგეობა თავისი მილიციით, გვარდია და ჯარი მათი უფროსებით და ხელმძღვანელებით სასურველ სიმაღლეზე იდგნენ ამბოხების მოსპობისა და ლიკვიდაციის საქმეში. სამაზრო ყრილობა გამოსთქვამს თავის ღრმა რწმენას, რომ მომავალში არავითარ ასეთ ბოროტ განზრახვებს არ ექნება ადგილი თავისუფლების მოყვარულ გურიაში“. ყრილობა ერთხმად და უკამათოდ ღებულობს ამ რეზოლიუციას.

ყრილობა აგრეთვე ადგენს გაეგზავნოს ანარქიულ გამოსვლების დროს ვერაგულად დაღუპულ მებრძოლთა ოჯახებს შემდეგი შინაარსის სამძიმრის ბარათები: „სამაზრო ერობის ხმოსანთა ყრილობა გამოსთქვამს თავის ულრმეს მწუხარებას მომხდარი უბედურების გამო, რის მსხვერპლი გახდა თქვენი ოჯახის წევრი...

ყრილობამ დაავალა ერობის გამგეობას ამ მსხვერპლთა ოჯახებს ამ ჟამად აღმოუჩინოს ერთდროული დახმარება თითოს ხუთი ათასი მანეთით და შუამდგომლობა აღძრას მთავრობის წინაშე, რათა ეს ოჯახები შემდეგში უზრუნველყოფილი იქნას მუდმივი დახმარებით.

ხარჯთ-აღრიცხვის გარეშე გაწეული ხარჯების შესახებ მოახსენებს ყრილობას გამგ. წევრი ბ ნი გ. ბერეჟიანი; ის დაწვრილებით აცნობს კრებას წინა ყრილობაზე დამტკიცებულ ხარჯთ აღრიცხვით გაუთვალისწინებელ და შემდეგ გამგეობის მიერ თავისი პასუხისმგებლობით გაწეულ ხარჯებს, ცალცალკე დანაწილებულს ნუსხის სხვა და სხვა §§ და მუხლების მიხედვით, რომლის რაოდენობა უდრის 172,027 მან. 39 კაპ. ყრილობა ერთხმად და უკამათოთ ამტკიცებს ამ თანხას და აგრეთვე ადგენს: „დაევალოს გამგეობას, რომ მან შეძენილი ავტომობილები აამუშაოს და გამოიყენოს შემოსავლის წყაროდ“.

საექიმო პუნქტების შესახებ მოხსენებას აკეთებს გამ. თავმჯდ. ბ ნი ს. ჭანტურიშვილი.

ყრილობა მცირე კამათისა და აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ ღებულობს გამგეობის მიერ წარმოდგენილ პროექტს და ადგენს: 1) „ის თემი, რომლის ფარგლებში იმყოფება საექიმო პუნქტი, ვალდებულია უფასოდ მისცეს პუნქტისათვის ბინა 3 ოთახი: ექიმის საცხოვრებლათ 2 ოთახი და ექიმის თანაშემწისათვის 1 ოთახი, აგრეთვე უფასოთ მიაწოდოს პუნქტისათვის გათბობა და განათება. 2) ექიმობა სრულიად უფასოა. ექიმს ბებია ქალს და ფერშალს ყოველივე პირობებში ეკრძალებათ ექიმობისათვის საფასურის აღება. 3) გამგეობას ევალება აგრეთვე შეძლების დაგვარათ ყველა პუნქტზე გახსნას საერობო აფთიაქი, რისთვისაც გასწიოს საჭირო ხარჯები; და 4) აფთიაქში მოსამსახურე პერსონალს გამგეობამ დაუნიშნოს ჯამაგირი თავისი განკარგულებით, რაც უნდა წარმოუდგინოს შემდეგ საერობო ყრილობას დასამტკიცებლად“.

თანახმად გამგ. წევრის ბ-ნი კ. ქავთარაძის მოხსენებისა, ყრილობა ადგენს: „1) აღიძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რომ ჭაობები, რომლებიც ითვლებიან სახელმწიფო ფონდში გადასულათ, გადავიდეს თემის განკარგულებაში მხოლოდ იმ აუცილებელი პირობით, რომ ჭაობი ამოშრობილი იქნას თვით თემის მიერ სამაზრო ერობის და მთავრობის ხელმძღვანელობით. 2) დაევალოს გამგეობას შეისწავლოს და გაეცნოს დამუშავებულ გეგმას რიონის ნაპირების გამაგრების შესახებ და, თუ დიდ ხარჯებს არ მოითხოვს და არც დრო ითმენს, კიდევაც მიიღოს სათანადო ზომები ამის განსახორციელებლათ“.

იმავე ბ. ქავთარაძის მოხსენებით ყრილობა ადგენს: „აღიძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რომ ფონდში გადასული მამულებიდან კულტურულ მეურნეობისათვის გამოსადეგი მიწები გადავიდეს სამაზრო ერობის განკარგულებაში“.

ოზურგეთ ნატანების გზაზე ტვირთის გადაზიდვის ნიხრისა და გადასახადის დაწესების შესახებ ყრილობა ადგენს: „დაწესდეს ნატანების გზაზე გადასაზიდ ტვირთზე გადასახადი ერობის სასარგებლოთ 30 კაპ. თვითეულ ფუთზე და მიენდოს ერობის გამგეობას შეიმუშაოს და წარმოუდგინოს მორიგ ყრილობას ტვირთის გადასაზიდი ნიხრი“.

აპუთვანისა და ებლაურის სახელწოდების შეცვლის შესახებ ყრილობა ადგენს: „დაევალოს იმ თემთა საბჭოებს, რომლებშიაც ეს სოფლები შედიან,—შეუცვალონ ამ სოფლებს სახელწოდება უფრო შესაფერისათ და წარმოუდგინონ შემდეგ ყრილობას დასამტკიცებლად“. ყრილობა ადგენს აგრეთვე: „თანახმად ნანეიშვილისეული თემის საბჭოს შუამდგომლობისა დაერქვას ნანეიშვილისეულის თემს „კორხანას თემი“, სოფ. პაპარა ნანეიშვილისეულს—„კორხანა“ და სოფ. პატარა ქვემოხეთს „ნაკადული“. წვრილ საერობო ერთეულების სახელწოდების შესახებ ყრილობა ღებულობს გამგეობის მიერ წარმოდგენილ შემდეგ დადგენილებას: 1) ოზურგეთის მაზრაში შემოღებულ წვრილ საერობო ერთეულთათვის დროებით სახელმძღვანელო წესდებაში სახელწოდება—„წვრილი საერობო ერთეული“ ყველგან იქნას შეცვლილი სახელწოდება „თემი“ თ. 2) თანახმად პირველ მუხლში ნა

ჩვენებ ცვლილებისა წვრილი საერობო ერთეულების ხმოსანთა ყრილობას ანუ საერთო კრებას ამიერიდან ეწოდოს „თემ-ს საბჭო," წვრილ საერობო ერთეულის გამგეობას კი ეწოდოს „თემის გამგეობა". 3) თემის გამგეობის არჩევნებისთანავე გაუქმებულათ ჩაითვალოს საზოგადოების კომისარიატი და მთელი მისი საქმეები და ქონება გადაეცეს თემის გამგეობას და 4) თანახმად სახელმძღვანელო წესდების მე 28 მუხლისა, თემის გამგეობის ბეჭდათ იქნას დამტკიცებული საერთო ფორმის მრგვალი ბეჭედი, რომელზედაც უნდა იყოს წარწერილი გამგეობის სახელწოდება".

ზოგიერთ თემებში ცენტრის გამონახვის გარშემო არსებულ უთანხმოების შესახებ ყრილობა ადგენს: „მიენდოს ერობის გამგეობას ამ საკითხების დაწვრილებითი შესწავლა ადგილობრივათ და მისი გადაწყვეტაც, რაც უნდა მოხსენდეს შემდეგ ყრილობას".

გამგეობის თავმჯდომარის ბ-ნი ს. ქანტურიშვილის მოხსენება მასწავლებელთათვის 25—29 მარტის საერობო ყრილობის მიერ დადგენილ ას მანეთიანი დამატების მოსპობის შესახებ იმ მოსაზრებით, რომ დამფუძნებელი კრება ადრე გამოსცემს დეკრეტს მასწავლებელთა ჯამაგირების 100 პროც. გადიდების შესახებ.

ყრილობა ადგენს: „მოიხსნას ას მანეთიანი დამატება იმ დღიდან და იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებლებს მიეცემა მთავრობისაგან 100 პროც. დამატება„.

ჩოხატაურის გზა ტკეცილის შესახებ ყრილობა თანახმად თავმჯდ. ბ. ჩხიკვიშვილის წინადადებისა, ადგენს: „1) ჩოხატაურის რაიონის მცხოვრებნი, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ჩოხატაურის გზის შეკეთებაში, გამოყვანილ უნდა იქნას სამუშაოდ და მიეცეთ მათ მხოლოდ საკვები. 2) ერთი მესამედი იმ თანხისა, (არა უმეტეს 300,000 მან.) მიიღოს სამაზრო ერობამ, ორი მესამედი-კი გამოითხოვოს მთავრობის ხაზინიდან; თუ ის არ იკისრებს ამ ხარჯებს, იმ შემთხვევაში ერობამ გამოითხოვოს ეს თანხა მთავრობისგან უპროცენტო სესხის სახით, რომელიც უნდა ანაზღაურებული იქნას ამ გზის შემოსავლიდან".

ყრილობა ღებულობს კომისიის მიერ წარმოდგენილ პროექტს მოსამსახურეთა შტატისა და მათი ჯამაგირების შესახებ, რომლის თანახმად ენიშნება ჯამაგირათ: გამგეობის თავმჯდომარეს 5,500 მ. თვეში. გამგეობის წევრთ და საერთო გამგეს 4 500 მან., საექიმო განყ. გამგეს 4,000 მან., ექიმებს პუნქტებზე 3—5,000 მანეთამდე, ფერშლებს 2,500 მ., ბებია ქალებს 1,500 მ., გამგეობის მდივანს 3,000 მან., სასკოლო განყ. გამგეს მთავარ ინსტრუქტორს 4,000 მ., საადგილ მამულო განყ. გამგეს 3,000 მ., სავეტერინარო განყოფ. გამგეს 4,000 მ. საქმის მწარმოებლებს 2,300 მან, საქმის მწარმოებლებს ეკონომიურსა და სასურსათო განყოფილებაში კი 2,000 მანეთი, რეგისტრატორებს—1,600 მანეთი, ბუხგალტრის თანაშემწეს 2,500 მანეთი, უფროსს მოანგარიშეს—1,700 მ., მოლარეს—2,500 მ., სასკოლო ინსტრუქტორებს—3,200 მ., ინჟენერს—4,000 მ., ტეხნიკებს—2,800 მ., გზის მეთვალყურეს—1,200 მ., აგრონომს—4,000 მ., აგრონომ ინსტრუქტორებს—2,000 მ., სავეტერინარო ფერშლებს—2,000 მ., გზის დარაჯებს 1000 მ., შიკრიკებს—10,000 მ., აგრონ. ტეხნიკებს—1800 მ., საადგილ მამულო განყ. ინსტრუქტორს—2,300 მ., სასურსათო საწყობის გამგეს—2,500 მ., მის თანაშემწეს—1,800 მ., საქმის მწარმოებლის თანაშემწეებს—1,800 მ., მანქანაზე გადამწერლებს 1,500 მ., ეგზეკუტორს 1800 მ., მეეტლეს—1500 მ., ღამის დარაჯებს და და მუშებს—1000 მ., ბუხგალტერს ჯამაგირს უნიშნავს გამგეობა თავის შეხედულებით.

ამასთანავე ყრილობა ადგენს: „უკეთუ დამფუძნებელი კრება შესაფერად არ გაადიდებს მომრიგებელ მოსამართლეთა ჯამაგირებს, გამგეობას უფლება ეძლევა შესაფერისი დამატება დაუნიშნოს მათ".

ყრილობა აგრეთვე ამტკიცებს კომისიის მოხსენებას გამგეობის წევრთათვის დღიურების 200 მანეთითა და მოსამსახურეთა კი—150 მანეთით და ხმოსნების—100 მანეთით განსაზღვრის შესახებ.

გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეს ბ-ნი გ. ბერეჟიანის განცხადებას თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ ყრილობა სოც. დემოკრ. ფრაქციის წინადადების თანახმად უყურადღებოთ სტოვებს.

უკანასკნელათ ყრილობის თავმჯდომარე ბ. ჩხიკვიშვილი, მიმართავს რა ყრილობას შესაფერი სიტყვით, რომელშიაც ასურათებს დღევანდელ მომენტს და მოუწოდებს ხმოსნებს, რომ ისინი ფხიზელ დარაჯათ ედგნენ საქართველოს რესპუბლიკას და გონიერ დადგენილებებს ყრილობისას კიდევ უფრო გონიერათ ატარებდნენ ცხოვრებაში რესპუბლიკის საკეთილდღეოთ.

**ხუხეინ-**

# ს.-დ. პარტიაში

**თფილისი.** ამა წლის 3 დეკემბერს საღამოს 6 ს. ტრამვაის პარკში შესდგა ტრამვაის მოძრაობის მუშა-მოსამსახურეთა ს. დ. მ. პარტიის წევრთა კრება. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება რაიონიდან, 2) მოხსენება დამფუძნებელი კრების ფრაქციიდან, 3) პარტიული მუშაობა ტრამვაიში. პირველი კითხვის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. მეხუზლამ. ის მოახსენებს კრებას, რომ თფილისის კომიტეტის დადგენილების თანახმათ პარტიის წევრებმა ერთდროულათ უნდა გადაიხადონ 10 მანეთი. კრებამ ეს ერთხმათ მიიღო და დაადგინა გადაიხადონ ერთდროულათ 10 მ., მეორე კითხვის შესახებ მოხსენება გააკეთა ფ. ლორიამ. პარტიულ მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. მოსე გიორგაძე ის აღნიშნავს პარტიის მნიშვნელობას და მისი სიმტკიცის საჭიროებას. დღეს ჩვენს ქვეყანას აუარებელი მტერი ყავს შიგნით და გარეთ და ლამობენ მის დანგრევას, ჩვენი პარტია დღეს სახელმწიფოს უდგას სათავეში და ყოველსფერში პასუხის გებელიც არის ქვეყნის წინაშე. სახელმწიფოებრივ მუშაობასთან ერთად პარტიული მუშაობაც უნდა გავაძლიეროთ. სადაც უნდა ვიყოთ და რა დროსაც, მუდამ უნდა გვახსოვდეს პარტია და მისი წმინდა მოვალეობანი. შემდეგ ილაპარაკა ფ. ლორიამ ზოგიერთი ამხანაგების ანტიპარტიული მოქმედების შესახებ და დაახასიათა მათი უდისციპლინობა. კრებამ იქონია რა მსჯელობა პარტიულ მუშაობის შესახებ ტრამვაიში, დაადგინა: მიეცეს წინადადება ყველა იმ ამხანაგებს, რომელნიც სისტემატიურათ არღვევენ პარტიულ დისციპლინას, გამოასწორონ თავიანთი შეცდომები ახლო მომავალში, წინაამდეგ შემთხვევაში ასეთი ამხანაგები გარიცხული იქნებიან პარტიიდან და მათი გვარები გამოცხადებულ იქნება გაზეთებში. დაადგინეს აგრეთვე მიეცეს ადგილობრივ ბიუროს წინადადება იმ პარტიის წევრებს, რომელთა მოქმედებაც ანტიპარტიულია, ჩამოერთვას პარტიული წიგნაკები და პარტიიდან გამორიცხონ.

**მოხე უმერიხპირელი.**

—

**სამტრედია.** 13 ნოემბერს შესდგა სამტრედიის რაიონის ს.-დ. ორგ. კომიტეტის კრება. დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება ბიუროდან, 2) მოხსენებები ადგილებიდან, 3) მოხსენება სამაზრო კომიტეტიდან, 4) ყაჩაღობა—დეზერტირობასთან ბრძოლა და 5) განცხადებები.

პირველ კითხვის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გ. დუნდუამ. მან გააცნო კრებას ბიუროს დადგენილებები და ის პრაქტიკული ნაბიჯები, რომელიც ბიურომ გადადგა. მომხსენებელი აღნიშნავს, ვინაიდან კომიტეტის კრებები, წევრთა საკმაო რიცხვის გამოუცხადებლობის გამო ერთ თვეზე მეტია არ შემდგარა, ბიურომ საჭიროდ დაინახა მოეწვია შეერთებული კრება სამტრედიის რაიონ. კომიტეტისა და სამტრედიის კოლექტივის ბიუროებისა. მოხდა ბიუროების შეერთებული კრება, რომელმაც გამოიტანა შემდეგი დადგენილება: პარტიულმა ორგანიზაციებმა ფხიზლათ ადევნონ თვალყური ანარქიისა და რეაქციის წარმომშობ მიზეზებს, რომ ჩვენი რესპუბლიკის არსებობა დაცულ იქნას, საჭიროა პარტიული ორგანიზაციები ებრძოდენ დეზერტირობას და ყაჩაღობას. ამ მიზნით მოწვეულ იქნა სამტრედიაში არსებული ყველა საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენელთა კრება, რომელსაც დაესწრო ხსენებული შეერთებულ ბიუროების კრებაც. მოსმენილ იქნა მოხსენება სახ. გვარდიის შტაბის თავმჯდომარის ამხ. ს. ნინუას, რომელმაც ვრცლად გააცნო კრებას ბოლშევიკების უკანასკნელი გამოსვლები. კრებამ მოიწონა შეერთებული ბიუროების მიერ შემუშავებული დირექტივები სახელმძღვანელოთ.

აგრეთვე ამხ. მომხსენებელი აცნობს კრებას ბიუროდან სხვადასხვა დადგენილებას, რაც კომიტეტის მიერ იქნა დადასტურებული.

მეორე კითხვის შესახებ მოსმენილ იქნა მოხსენებები ადგილებიდან, საიდანაც გამოირკვა, რომ ზოგ ადგილებში შესუსტებულა პარტიული მუშაობა, რის მიზეზათ ამხ. ასახელებენ პარტიის წევრების ერობის წვრილ ერთეულში (თემში) მუშაობას. ამ გარემოებას მიაქცია რაიონულმა კომიტეტის კრებამ ყურადღება და დაადგინა, დაევალლოს თემებში მომუშავე ჩვენს ამხანაგებს (ხმოსნებს) მიაქციონ პარტიულ მუშაობას მეტი ყურადღება.

3) სამაზრო კომიტეტიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. რ. მიქაძე.

მოისმინა რა მოხსენება ამხ. რ. მიქაძისა, კომიტეტმა დაადგინა: დაევალოს კოლექტივებს საჩქაროდ მოახდინონ პარტიის წევრთა რეგისტრაცია.

პარტიულ მუშაობის შესახებ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია სამაზრო კომიტეტიდან გამოგზავნილმა ამხანაგებმა შემოიარონ მთელი რაიონი და გააკეთონ მოხსენებები.

4) ყაჩაღობა დეზერტირობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კომიტეტი იწონებს ბიუროს მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, აგრეთვე იწონებს მთავრობის მიერ უკანასკნელ გამოცემულ დეკრეტს და იმ ზომებს, რასაც ამ ჟამათ მთავრობა ღებულობს.

ევალება ამხანაგებს, რომ დახმარება აღმოუჩინონ სათანადო ორგანოებს ანარქიასთან ბრძოლაში.

**ლევანი ძე.**

# მუშათა შორის

**სად. ნავთლუღი.** (კახ. რკ. გზ.) 7 დეკემბერს შესდგა მეხუთე რაიონის კრება. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: მოხსენება კომიტეტიდან, დელეგატთა ყრილობის შესახებ, სახალხო გვარდიის დღესასწაულის შესახებ და სხვა წვრილმანი კითხვები. კრებას მოხსენება გაუკეთა თფილისის კომიტეტიდან ამხ. ს. ტინჯველაშვილმა. დელეგატთა ყრილობის არჩევნების შესახებ მოხსენება გააკეთა კავშირის მდივანმა ამხ. ვლ. ბოხოხაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ კახ. რკ. გზის მუშა-მოსამსახურეების დელეგატთა ყრილობა უნდა მოხდეს 21 დეკემბერს თანახმად წესდებისა. ამ ყრილობაზე მისი წინადადებით კოლექტივმა თავის მხრით უნდა აირჩიოს კანდიდატები, რაც მიღებული იქნა. დასახელებულ იქნა როგორც სადელეგატო კანდიდატები, აგრეთვე კავშირის გამგეობისა და სხვადასხვა ფუნქციებისთვის.

არჩეული იქმნა საარჩევლო კომისია. მთელი გზა არის დაყოფილი ოთხ საარჩევლო რაიონად.

1) კახეთის რკინის გზის სამმართველოში არჩევნები მოხდება 10 დეკემბერს.

2) ნავთლუღ კახეთის არჩევნების კრება დანიშნულია 11 დეკემბერს.

3) სად. საგარეჯო—16 დეკემბერს.

4) სად. გურჯაანი—17 დეკემბერს.

სახალხო გვარდიის დღესასწაულისთვის არჩეული იქმნა მომწყობი კომისია 3 კაცისაგან. 1) სტ. ჯუღელი 2) მ. მეტეხელი 3) სპ. დოლიძე.

მდივანი **ლ. ახობაძე.**

—

ამხანაგებო! 21 დეკემბრისათვის და ნიშნულია კახეთის რკინის გზის მუშა მოსამსახურეების დელეგატთა ყრილობა, რომელმაც სხვა საქმეებთან ერთად უნდა აირჩიოს ახალი ცენტრალური გამგეობა. მეხუთე რაიონის კოლექტივმა უკვე გამოიმუშავა კანდიდატთა სია, რომლებიც უნდა იქნან არჩეული მომავალ ყრილობაზე დელეგატებათ, კახეთის რკინის გზის სამმართველოში მოხდება არჩევნები 10 დეკემბერს. კანდიდატებათ წამოყენებული არიან შემდეგი პირები: 1) სტ. ჯუღელი 2) ვლ. ბოხოხაძე 3) ს. ჯინჭველაშვილი 4) ა. კამკამიძე 5) ნ. შეყრილაძე. სად. ნავთლუღში (კახ. რკ. გზ.) მოხდება არჩევნები 11 დეკემბერს. წამოყენებული არიან შემდეგი კანდიდატები, ლიანდაგიდან: 1) გ. ბალარჯიშვილი 2) ფ. ნინუა 3) მ. მეტეხელი 4) ლ. ახობაძე 5) ი. ჯავახიშვილი. მოძრაობიდან: 1) ნ. დოლიძე 2) ო. ფანცულაია 3) ა. ცაბაძე 4) ა. ტაბატაძე 5) ი. ჯაფარიძე. დეპოდან: 1) ს. ქორიძე 2) მ. ცქიტიშვილი 3) ა. პანამარენკო 4) გ. შახნაზაროვი 5) ნ. კობრეიძე 6) მ. ქვემოკლიძე 7) ნ. ვადაჭკორია 8) ს. ჯინჭველაშვილი 9) ერ. მახარაძე 10) ლ. ლამაზაშვილი 11) ვასილ ქვემოკლიძე 12) კ. ჯანჯალია 13) თ. მელქაძე 14) ვ. დემეტრაშვილი. მოვუწოდებთ ამხანაგებს ხმა მისცეთ ამ სიას.

**საარჩევნო კომისია.**

# პროვინცია

**ლანჩხუთი.** 18 ნოემბერს ლანჩხუთში „ნოე ჟორდანიას სახელობის სამეურნეო სკოლაში", მეურნე გლეხთა კრებაზე, ერობის მოსამსახურეებმა იორდანე ზენაიშვილმა და ბ. კვიჟიძემ გაუმართეს ხალხს საუბარი, თუ რანაირ უხერხულ მდგომარეობაში იყო და არის ხალხი დღემდე მეურნეობის განუვითარებლობის გამო. მოკლედ აღნიშნეს რა, რომ მიწის დამუშავება მიმდინარეობს პრიმიტიულ საშუალებით, მოუწოდეს ხალხს რომ შეეცადონ საერთო ძალღონით, ერთმანეთის დახმარებით, შეიძინონ გაუმჯობესებული იარაღები. ესაუბრენ ხალხს მიწების დამუშავებაზე, მის განაყოფიერებაზე; როგორი მოვლა სჭირია სიმინდს და საპურე მცენარეებს მოსავლის აღებამდე, გააცნენ ხალხს მეხილეობის დარგი, კარგი ბაღის მოშენების დანიშნულება, მისი მოვლა და წამლობა მავნე მწერ სოკოების წინააღმდეგ ბრძოლა. მევენახეობის შესახებ დიდხანს ილაპარაკა იორდანე ზენაიშვილმა და დაარიგა ხალხი, თუ როგორ უნდა დაიცვან ვენახები მწერების და სოკოებისაგან. მოუწოდა დამსწრეთ შემოიღონ სასურველი ჯიშები. კარგს საძირეზე დამყნილი, რომელიც დამზადდება ადგილობრივათ.

უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ჩვენი სოფლისთვის ასეთი საუბრები. არ მინდა უყურადღებოთ დავტოვო ერობის მოსამსახურის იორდანე ზენაიშვილის მოღვაწეობა ამ დარგში. ის აგერ რამოდენიმე თვეა რაც ერობამ ლანჩხუთის რაიონში ინსტრუქტორათ დანიშნა. ის მთელი თავისი ენერგიით ამ საქმეს ემსახურება. დაიარება ჩიბათში, ჯუნჯუათში, შუხუთში და ყველგან უხსნის და ასწავლის ხალხს მეურნეობის მნიშვნელობას. ასეთი მუშაკები სოფლათ ძვირია და მათი მოღვაწეობა ფრიად სასარგებლოა.

**დამსწრე.**

—

**ხოფ კაკაბეთი** (გარე კახეთი). ძნელათ მოიძებნება საქართველოში კაკაბეთისთანა ჩამორჩენილი მხარე. ქურდ ბაცაცობა, ძარცვა გლეჯა აქ ყოველ დღე ხდება. ადმინისტრაცია კი არავითარ ზომებს არ იღებს. ამ რამდენიმე ხნის წინათ მანაველებმა დავკარგეთ ძროხა. (კვალი მივიტანეთ კაკაბურ კაცზე, რომელიც წინათაც იყო შემჩნეული ქურდბაცაცობაში. წავედით კაკაბეთში და თან წავიყვანეთ ჩვენი მაზრის კომისარის თანაშემწე. მისვლისათანავე ჩვენმა მაზრის ადმინისტრატორმა სთხოვა ადგილობრივ, ადმინისტრაციას გამოეძიათ საქმე მოსე ხოვეთ დამნაშავეს მოყვანა კანცელარიაში, დამნაშავე არ გამოჩნდა, მის მაგივრათ კანცელარიაში მოცვივდნენ მისი მამა, ძმები და ნათესავები და განაცხადეს: ჩვენ არც დამნაშავეს მოვიყვანთ თქვენთან და არც მოწამესაო. დაიწყეს შეიარაღება, ერთი ჩხუბი და მუშტი-კრივი, მოინდომეს კანცელარიის ფანჯრების დამტვრევა, რომ მაზრის კომისრის თანაშემწეს დროზე არ მიეღო ზომები, სისხლის ღვრა მოხდებოდა. კაკაბეთის კომისარი და მისი მილიციონერები ღვინით გალეშილიყვნენ და ერთმანეთს ვეღარც კი სცნობდნენ. რასაკვირველია ასეთი ადმინისტრატორები ქურდ ბაცაცობას ვერ მოსპობენ. მათ თავიანთ მოღვაწეობით ხალხში შეაქვთ ანარქია და მერე კი მთავრობას აბრალებენ. დროა ყურადღება მიექცეს მათ.

**მანაველი.**

—

ქობულეთში და იქიდან ბათუმში უკანასკნელ ხანებში ჩამოჰყავთ სპეკულიანტებს ღორის და ცხვრის ჯოგები. მოდენიან სამეგრელოდან და გურიიდან. გადასაგზავნი ბაზათ არის დაბა „შეკვეთილი", აქ აჩერებენ ჯოგებს კვირაობით და აქვთ „მოლაპარაკება" მესაზღვრე და რაჯებთან. მაგალითისათვის მოვიყვან ფაქტებს: ნოემბრის შუა რიცხვებში გამორეკეს ცხვრის ჯოგი, 19 ნოემბერს გიორგი მეავაძემ, მეჩხიამ და სხვ. გამორეკეს ასამდე ღორები. 2 დეკემბერს ყარამან გუმბარიძემ გამოდენა ორასამდე ღორი მალთაყვის მხრიდან ზღვით ეფრემ ქარცივაძეს გააქვს ბათუმში სანდლით აუარებელი სიმინდი. დიდი უმრავლესობა ამ საქონლისა გაივლის სუფსაში, სადაც „ვაჭრობას" აქვს ადგილი და მერმე მიერეკებიან შეკვეთილში. ამ დაბიდან გამოაქვთ ჩავლადრებს სამეგრელოდან გამხმარი სულგუნები და გირვანქას რვა თუმნათ ყიდიან. ღორის ხორცი ბათუმში 55 მანეთი ღირს გირვანქა. საჭიროა სასტიკი ზომების მიღება საზღვარზე. თუ საჭიროა ზემოთქმულს დავამტკიცებ. ნატანებში კვერცხს არ ატანებენ ხალხს და შეკვეთილით ჯოგები გაჰყავთ. საჭიროა ზომები, თორემ მთელ გურია სამეგრელოს გაზიდავენ ბათუმისკენ.

**ერთი ვინმე.**

# წერ. რედაქციის მიმართ

„ერთობის" № 253, 6 ნოემბერს მოთავსებული იყო კორესპოდენცია დაბა ბანძიდან ში—რის ფსევდონიმით, სადაც მე ბრალს მდებს იმაში, რომ თითქოს უსაბუთოთ დამეთხოვოს ბანძის ერობის აფთიაქის ყოფილი მმართველი ჰუბაბრიას ქალი (და არა შურღაია, როგორც ნახსენებია კორესპოდენციაში), და მის მაგიერათ მომეწვიოს ვინმე გვაზავა, რომელსაც თითქო ცუდათ მიყავდეს აფთიაქი საქმე და სხ. ბ. ში—რიმ დათვური სამსახური გაუწია ჰუბაბრიას ქალს და მაიძულა პრესაში გამოვამჟღავნო თუ რათ იქნა ის დათხოვნილი ადგილიდან სენაკის სამაზრო ერობის დასტურით. მიზეზები შემდეგია: 1) სწორეთ ეს ჰუბაბრიას ქალი მეტის მეტათ ფიცხობდა და წარამარა ლანძღავდა აფთიაქში მიმსვლელებს, როცა თხოულობდენ წამლის დროზე დამზადებას და ისინი ამის გამო იძულებული იყვენ კერძო აფთიაქებში წასულიყვნენ. 2) ერთ და იმავე რეცეპტის შემადგენლობას ერთ დღეს სხვა ტაქსიროვკას უწერებოდა და მეორე დღეს კი სხვას, ან მეტს ან ნაკლებს, რასაც ხალხი დიდი ეჭვის თვალით უყურებდა. 3) წამლებს ინახავდა ბინძურათ და ფუჭდებოდა, რითაც ზარალს აყენებდა აფთიაქს. 4 მუდამ ჩხუბი და დავიდარაბა ჰქონდა თავისი თანამოსამსახურეებთან. 5) კერძო გამოძიებიდან გამოირკვა, რომ თავისი ნათესავებს ერობის აფთიაქიდან წამლებს უფასოთ აძლევდა. 6) იყო შემთხვევა, რომ ქაფურის ზეთი, რომელიც იყო გამოწერილი დასაზელათ, დაეწერა სასმელი. 7) იყო ისეთი შემთხვევა, რომ აქ ადგილობრივ ებრაელს ისრაილ ბჟიაშვილს, რომელიც იყო ავათ ტიფით, გამოუწერა გულის სამუშავებელი წამალი დასალევი და სადეზინფექციოთ კარბოლის სიმჟავე 5 პროცენტიანი. სასმელ წამალზე მიაკრავს სიგნატურკა „მოსახმარი" და კარბოლის სიმჟავეზე—„ყოველ ორ საათში თითო სტოლის კოვზი მიიღეთ". ავათმყოფს მიუღია ერთი კოვზი კარბოლის სიმჟავე და, რასაკვირველია, ამას მოყვა იმ წამსვე ნიშნები მოწამვლისა და ძლივს გადავარჩინე ავადმყოფი. ყველა ზემო აღნიშნულ დანაშაულობის გამო იქნა დათხოვნილი, როგორც უვარგისი მმართველი აფთიაქისა სენაკის სამაზრო ერობის დასტურით ამის შემდეგ მივმართეთ ქუთაისის ფარმაცევტების კავშირს, რომ გამოეგზავნათ მმართველი; მათ გამოგვიგზავნეს თავიანთი რეკომენდაციით გ. გვაზავა, რომელიც არ ყოფილა დათხოვნილი ხონის აფთიაქიდან, როგორც ამას სწერს ბ. ში—რი, არამედ თავის ნებით წასულა, რისი საბუთები ხელთ აქვს და რომელიც ეხლა ასრულებს თავის მოვალეობას სინდისიერათ და მეტათ პატიოსნათ, რასაც ამოწმებენ ადგილობრივი მკვიდრი და მისი თანამოსამსახურეები. აფთიაქის საქმე მეტის მეტათ კარგათ მიდის. ეს იქიდან სჩანს, რომ სულ ექვსი თუ შვიდი თვეა რაც არსებობს და მიუხედავათ იმისა, რომ ამ პატარა დაბაში არსებობს ძველი კერძო აფთიაქი, მაინც ამ დროს განმავლობაში ექიმის რეცეპტი უდრის № 5000 ს ფერშლების კი ორჯერ მეტი; ამ ექვს თვეში გადაბრუნებულია 145,000 მ. და ამ რიგათ გამორკვეულია, რომ სამაზრო ერობის წმინდა მოგება რჩება 5000 დე, რომელიც ხმარდება ადგილობრივ ერობას საავათმყოფოს საჭიროებას. რაც შეეხება ჩემი და ადგილობრივ წვრილი ერთეულის უთანხმოებას, ამ შემთხვევაში მეტათ მიმაჩნია ამ ისტორიის აქ მოყვანა.

ბანძის ერობის საავათმყოფოს გამგე ექიმი: **იასონ ჟორდანია.**

# განცხადებანი


## სამკურნალო

(კავკ. წით. ჯვ. საოლქო სამმართველო) ჩერქეზ. ქ. № 77, იაკუბოვიჩის აფთ. გვერ. ავადმყოფ. მიღება ექიმ სპეციალისტების მიერ ყოველ დღე 9—2 საათამდე.

**გ. ხანაძე** 9—12. შინ. ვენერ. სიფილ.

**ფ. ფეხნერი** 10—11, საბავშ. შინაგ. სნ.

**ი. ტეროვაკიმოვი** 12—1. ვენერ. სიფილ.

**ი. ბოკერია** 10—11. ხირურგ. ქალთა სნეულ. და საბებიო

**ი. ტერგრიგორიანცი** 1—2. შინაგ. საბავ.

**ტ. განჟუმოვი** 11—12. ქალთა საბებ. „606" და „914" ყოველ დღე.

რჩევა 10 მ. ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი **გ. გ. ხანაძე.** ((2937—თ.)

**ოზურგეთში** ექიმი **ს. ვ. ახაშიძე** მიიღებს ავადმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და წელების. ჰლექის ექიმობა „ტუბერკულინით" და „ფოსფაციდით", ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914" და „606" შეშხაპუნებით, ქ. სიამაიშვილის სახლში. (კუპ. 582)

ექიმი [illegible]

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914". ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფები მიიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: [illegible] ქუჩა № 33

დოქტორი მედიცინისა ყოფ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა

## გ. გ. მეგრაბიანი

შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X ს სხივებით. ჰლექების აპერაცია—პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92. 3230—თ.

ექიმი **კ. ტუშმალაშვილი**

ღებულობს ავადმყოფებს ვენერიულ, სიფილ. (914 და 606) კანი, მიხაილოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე ფოსტის ახლოს. საღამოს 5—7 საათამდე. (2925)

ექიმი **ს. დ. [illegible]**

იღებს შინაგან, საბებიო და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დღის 1—2 და საღ. 4—5, გარდა ოთხშაბათის და შაბათისა, რომელ დღეებშიაც იღებს მხოლოდ დილის 8—9. მისამართი: ნიკოლოზის ქ. № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლოს. (თ.—3023)

ექიმი ქალი **რ. ბ. [illegible]**

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას ხელოვნური წამლობა (606—914) დილის 10—12 ს. და საღამოს 5-6 ს. პლეხანოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—26

ექიმი **დ. მ. ჯაჯანიშვილი.**

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. (საავათმყოფოს ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—2662.)

ექიმი **დ. ა. ხარაძიძე.**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87 ავჭალის ობსერვატორიის ახლო.

**ქალ. სამტრედიაში**

ექიმი **ი. ი. ჭეიშვილი** იღებს განსაკუთრებით სიფილისით (წამლ. „606" და „914") ვენერიულ (ტრიპერი და მათი შედეგები) და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ. მისამართი: ილიას ქუჩა, ტელეფონი 35. (2950—თ.)

ექიმი ქალი **ე. ხ. ბებურიშვილი.**

ღებულობს ავადმყოფებს შინაგან, ქალთა და ბებიობის ნაწილებში დილით 10—12 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: იზმაილოვის ქუჩა № 28. (თ. 3065).

ექიმი **ა. ლევენშტეინი**

შინაგანი ავათმყოფობანი. ყოველმხრივი გამოკვლევა და ფიზიკური მეთოდებით ჰქიმობს გულის, ფილტვების, კუჭის და ჰაჟების ავათმყოფობათა. **რენტგენის სხივები.** კრილოვის ქ. სახლი № 5 გონიელოვისა, ბინა № 3. მიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 4—8 საათამდე. (თ. 2642)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

(ვაგზლის ქ. შიხინოვის აფთიაქის გვერდით, ტელ. 6—95)

**ექ. არგუთინსკი** შინაგ. და საბავ. ყოველ დღე 10—11 ნახ.

**ექ. ვართანოვი**—ვენერ. და კანის სნ. ყოველდღე 1—2.

**ექ. ბოკერია** ქირურგ. ქალთა სნეულ. და საბავშვო ყოველ დღე 10—11.

**ექ. ქალი იოხელიანი** ქალთა სნეულ. საბავ. ხუთშ. და შაბ. 11—12.

**ექ. კლდიაშვილი** შინაგ. და საბავ. ყოველ დღე 1—3.

**ექ. ტუშურიანცი** შინაგანი სნ. ყოველ დღე 11 ნახ—1.

რჩევა 10 მ., კონსულტაცია 50 მან. ოპერაცია შეთანხმებით, „606" და „914" (2930—თ.)

ექიმი **ბ. ი. მირიანაშვილი.**

შინაგანი სნეულებანი. მიღება საღამოს 5—7 საათამდე, მისამართი ანდრეევის ქუჩა № 74, ბინა № 1 ვაგზლის აფთიაქის ახლო. (2849—თ.)

ექიმი **ნიკოლოზ მახვილაძე**

იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავადმყოფს ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, (ზემელის აფთიაქის ახლოს). (2795—თ.)

ექიმი **ა. დ. [illegible]**

სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606" და „914", მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—8 ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნოე" [illegible] № 116 [illegible] 14—28

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების

## მთავარ სამმართველო

ამით აცხადებს, რომ სურამის ფსიქიატრიულ ახალშენში შეიძლება მიღებულ იქნას დაწესებულ ფასით ხეირით ავათმყოფი (მამაკაცი). დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება წითელი ჯვრის კანცელარიაში (26 მაისის ქუჩა საბვბიო ინსტიტუტის შენობაში) და ქ. სურამში ფსიქიატრიულ ახალშენის უფროს ექიმთან. (2901—14—14)